საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 9 აგვისტო. 2017 წ. №160 (8297), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მეოთხე ხელისუფლება თავის უფლებებს ითხოვს

SOS!

დღეს საქართველოში არც ერთ საფარბაზოში საფოსტო ყუთი აღარ ჰკიდია, რაც აუცილებლად ავისმომასწავებელია...



ესე იგი, ეს ქვეყნისთვის არცთუ მცირე მნიშვნელობის საქმე ვიღაც ჩინოვნიკს ფეხებზე ჰკიდია, ხოლო ეს ათასი საქვეყნო საქმით ფეხებაჩონჩხლილი ჩინოვნიკი კიდევ უფრო ზევით ჰკიდიათ, სადაც სულ არ ანაღვლებთ ამჟამინდელი ქართული ბეჭდური სიტყვა, არ ანაღვლებთ ქართული გაზეთი, ქართული ჟურნალი, რომელთა ფურცლებზეც აწინდელი ცხოვრება აისახება და იქმნება აწმყოს ერთიანი ძირითადი მიუკერძოებელი სურათი, რომელი სურათის მიხედვითაც მომავალი თაობები სათვალმჩენოდ დაინახავენ, როგორ ცხოვრობდა ქვეყანა ამა თუ იმ მთავრობის ხელში.

რასაკვირველია, უწინარესად სწორედ არსებულ მთავრობას ევალება მეოთხე ხელისუფლების მიმართ მზრუნველი ყურადღების გამოჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მზრუნველი ყურადღება კი არა, ჩვენი ხელისუფლებისთვის, მგონი, საერთოდ არ არსებობს ბეჭდური პრესა, რომლის დაიჯესტსაც ყოველ დილით ჩახედავდა, ქვეყანაში გაჩენილ პრობლემებს გაითვალისწინებდა და იმისდა მიხედვით დასახავდა დღის სამუშაო გეგმას.

ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ პრესის გავრცელების თვალსაზრისით, როგორც იტყვიან, ჩხირის გადამბრუნებელი არ არის შპს „საქართველოს ფოსტა", რომელმაც, აქაოდა ძვირი მიჯდებაო, საერთოდ შეწყვიტა ბეჭდური სიტყვის ხელმომწერამდე მიტანა. რის ხელმომწერი, რა ხელმომწერი, თავში ქვაც უხლიაო. ა, ბატონო, სახელმწიფოებრივი საქმისადმი შემაძრწუნებლად არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება!

ცნობილია, რომ არა მარტო პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, არამედ თითქმის ყველა მინისტრს და დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ქალაქის მერსა და გამგებელს ჰყავს პრესმდივანი, რომელთაც სწორედ უშუალოდ ევალებათ გაფაციცებული ყურადღება პრესის მიმართ, რაც უწინარესად ოპერატიულ რეაგირებაში გამოიხატება, მაგრამ რა რეაგირება, რის რეაგირება! ხელმოწერაზე ზრუნვა ხომ საერთოდ ზღაპარია „ათას ერთი ღამიდან" (რაც შეეხება საგაზეთო ჯიხურებს, ისინი უმთავრესად „სიკვდილის მოციქულის" — თამბაქოს გასაყიდ ჯიხურებად არის ქცეული!).

ამ ჩვენს თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში ყოველგვარი რეაგირება ჩამკვდარია, ხელისუფლების მხრიდან არავითარი ყურადღება არ ექცევა არც რომელიმე ჟურნალ-გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას და არც კიდევ გულცივ ჩინოვნიკთაგან „ჭკუიდან გადასულ" ისედაც სიდუხჭირეში მცხოვრები მოქალაქის გამუდმებულ ჩივილსა თუ თხოვნას.

„ქართულო ოცნებავ", ნუ დაემსგავსები ნურც ერთ წინა ხელისუფლებას, რომელთაც თავიანთ უმთავრეს ხელობად აქციეს ამომრჩევლის ცრუ დაპირებებით გაბერვა.

საქართველოს ფოსტა

ამ მხრივ ჩვენც, დღევანდელი ამომრჩევლებიც, საკმარისად გაბერილები ვართ, ტყუილებით გაბერილი ხალხის გასკდომა კი მტრისას! იქნებ ატომური ბომბის გასკდომაზე ნაკლებიც არ იყოს!

ნურც იმას იგულმავიწყებთ, ამჟამინდელო ძვირფასო ხელისუფლებავ, რომ ყველა წინა ხელისუფლება დიახაც მეოთხე ხელისუფლების მიმართ გულგრილობამ და აბუჩად აგდებამ გაანიორწყლა.

თუ სიტყვა იგივე ღმერთია, თვითონ სიტყვისა თუ არა, ღმერთისა მაინც გეშინოდეთ!

საფოსტო ყუთი ყოველთვის ხალხისა და ხელისუფლების ურღვევი კავშირის სიმბოლო იყო, არის და იქნება!

საფოსტო ყუთი მყოვარმოქმედების ჭურვია, რომელიც კარგი ხელისუფლების ხელში სიყვარულით ფეთქდება, ხოლო ცუდი ხელისუფლების ხელში — სიძულვილით, რაც, მოგეხსენებათ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდად მთავრდება!

გურამ წიკლაური

ზაზა ფაჩულია:

ამ თასით ისე ვერ ვამაყობ, როგორც ომში დაღუპული მებრძოლებით!..

⑩

ჯაჭვ-გაუხდელი მეფე და მეომარი

ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსი ასპინძაში

⑥



ოკუპანტი ქვეყნის ცინიზმი გრძელდება!

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევით რუსეთის პრეზიდენტის „ვიზიტი" ოკუპირებულ აფხაზეთში

„აგვისტოს ომის მე-9 წლისთავზე მსგავსი ცინიკური ქმედება ემსახურება სამხედრო აგრესიის, ეთნიკური წმენდისა და ოკუპაციის გზით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების დაკანონებას რუსეთის მხრიდან", — საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის პრეზიდენტის ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პუტინის „ვიზიტი" ოკუპანტი ქვეყნის გამიზნული პოლიტიკის გაგრძელებაა.

„2008 წელს საქართველოში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის დღეს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში „ვიზიტი" წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვის გამიზნული პოლიტიკის გაგრძელებას.

„აგვისტოს ომის მე-9 წლისთავზე მსგავსი ცინიკური ქმედება ემსახურება სამხედრო აგრესიის, ეთნიკური წმენდისა და ოკუპაციის გზით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების დაკანონებას რუსეთის მხრიდან. ამ ნაბიჯით კრემლი ასევე უშედეგოდ ცდილობს თავისი საოკუპაციო რეჟიმების მხარდაჭერასა და ლეგიტიმაციას.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევით რუსეთის პრეზიდენტის „ვიზიტს" ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში, რომელიც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებები საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და პატივი სცეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს მოსკოვის აგრესიულ ნაბიჯებს და ქმედითი ზომები მიიღოს, რათა რუსეთის ფედერაციამ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება", — აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ევროპულ საქართველოს ვაშენებთ იმისთვის, რომ ეს იყოს ერთიანი სახლი ქართველებისთვის, აფხაზებისთვის და ოსებისთვის!

ერთიან, ეკონომიკურად ძლიერ, დემოკრატიულ, ნამდვილად ევროპულ საქართველოს ვაშენებთ იმისთვის, რომ ეს იყოს ერთიანი სახლი ქართველებისთვის, აფხაზებისთვის და ოსებისთვის, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, არც ქართველებს, არც აფხაზებს და არც ოსებს დასაკარგი შვილი აღარ ჰყავთ.

„ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად დავხარჯოთ ძალისხმევა, რათა ჩვენი ქვეყანა გავაერთიანოთ და გავაძლიეროთ. რა თქმა უნდა, მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პირველ რიგში მშვიდობა შევინარჩუნოთ. ერთიან, ეკონომიკურად ძლიერ, დემოკრატიულ, ნამდვილად ევროპულ საქართველოს ვაშენებთ იმისთვის, რომ ეს იყოს ერთიანი სახლი ქართველებისთვის, აფხაზებისთვის და ოსებისთვის. რა თქმა უნდა, ეს ომი იყო ყველას ტრაგედია, ამიტომ ჩვენ აუცილებლად თვალებში უნდა ჩავხედოთ ერთმანეთს, ყველაფერი სათქმელი უნდა ვუთხრათ და უნდა შევრიგდეთ, რადგან შერიგებასაც ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ერთიან საქართველოში ვიცხოვრებთ და აუცილებლად გავაერთიანებთ ქართველების, აფხაზების და ოსების გულებს. არც ქართველებს, არც აფხაზებსა და არც ოსებს დასაკარგი შვილი აღარ გვყავს“, — განაცხადა პრემიერმა.

ცოცხალი ჯაჭვი ენგურის ხიდზე - 08.08.08

„ფრთხილად, 800 მეტრში რუსი ოკუპანტია!“ — ამ ლოზუნგით აქცია ენგურის ხიდზე გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ცოცხალი ჯაჭვი ენგურის ხიდზე გაავლეს. მათ რუსული ოკუპაცია კიდევ ერთხელ, აგვისტოს ომიდან ცხრა წლისთავზე გააპროტესტეს. აქციაში ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა გარდა, ყველა ის მოქალაქე მონაწილეობდა, რომლებმაც ოკუპაციის გაპროტესტება და აგვისტოს ომში დაღუპული გმირებისთვის პატივის მიგება ენგურის ხიდზე ცოცხალ ჯაჭვში ჩადგომით გამოხატეს.

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, მთავრობისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სკვერში შეიკრიბნენ და მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სკვერის რეაბილიტაცია წელს დაიწყო. ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად 5.4 მ. სიმაღლის მემორიალი აღიმართა.რაც შეეხება სკვერის რეაბილიტაციას, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, შეიცვალა დეკორატიული ფილები, განთავსდა მოსასვენებელი სკამები, დამონტაჟდა გარე განათება და განხორციელდა გამწვანებითი სამუშაოები. სამომავლოდ იგეგმება წყლის დასალევი შადრევნის მონტაჟიც.

„შენს სახლამდე 400 მეტრია“ - ანტისაოკუპაციო აქცია ავსტრიაში

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ადგილობრივი დროით 19:00 საათზე, ვენის სახელმწიფო ოპერის გვერდით, ქართველი სტუდენტებისა და ემიგრანტების ორგანიზებით ანტისაოკუპაციო აქცია — „შენს სახლამდე 400 მეტრია“ — გაიმართა.

აქცია მიზნად ისახავდა, გაეპროტესტებინა რუსეთის იმპერიალისტული პოლიტიკა საქართველოში, პატივი მიეგოთ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირებისათვის და შეეხსენებინა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ ოკუპირებულია და ეს პროცესი დღესაც გრძელდება მცოცავი ოკუპაციის სახით.

„ომი ჩვენს ობიექტივში“...

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მე-9 წლისთავთან დაკავშირებით, პარლამენტის თბილისის სასახლის ეზოში 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენა — „ომი ჩვენს ობიექტივში“ გაიმართა.

გამოფენის დამთვალიერებლებს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მიესალმა და ცხრა წლის წინათ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, ტრაგიკულ დღეებზე და ქართველ გმირების თავდადებაზე ისაუბრა. პარლამენტის თავმჯდომარემ გამოფენაში მონაწილე ხუთ ფოტოგრაფს — გიორგი აბდალაძეს, ზურაბ ქურცუკიძეს, ივანე შლამოვს, ნოდარ ცხვირაშვილს და გლებ გორანიჩის მადლობა გადაუხადა ქვეყნის წინაშე გამოვლენილი გმირობისთვის და გაწეული ღვაწლისთვის.



აგვისტოს ომის უმძიმესი დღეები ფოტოხელოვანმა, გიორგი აბდალაძემ გაიხსენა და ომის დროს დაღუპული ჟურნალისტების და ფოტოგრაფების ხსოვნას პატივი მიაგო.

ნინო ბურჯანაძე: ომი სააკაშვილმა დაიწყო!

სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. ამის შესახებ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ RT-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„ომი დაიწყო სააკაშვილმა. ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში სწორედ მას ეკისრება. ევროკავშირის მიერ ჩატარებული გამოძიებისა და ჰაიდი ტალიავინის დასკვნის მიუხედავად, საქართველოში დღემდე „ეუხერხულებათ“ ამის თქმა“, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძე საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭისყრას აპირებს

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და „დემოკრატიული მოზრაობის“ ლიდერი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტად დასახელებას გეგმავს, — განცხადება ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ „რაშენ თუდეი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„დიახ, მე ვგეგმავ საკუთარი კანდიდატურის დასახელებას, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ დამოკიდებულია იმაზე, რა ქმედებებს განახორციელებს „ქართული ოცნება“. ისინი ცვლიან საკანონმდებლო ნორმებს. მათ სურთ შეცვალონ კანონმდებლობა ისე, რომ საქართველოს ბოლომდე საპარლამენტო რესპუბლიკა გახდეს, სურთ,რომ მომავალი პრეზიდენტი არჩეულ იქნას არა პირდაპირი წესით, არამედ პარლამენტის მიერ“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

სამშვიდობო გზავნილები გორიდან და დაუმთავრებელი სახლი დვანში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მე-9 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღნიშვნა გორში გუშინ ქალთა სამშვიდობო მოძრაობის წევრებმა დაიწყეს. ქალები, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ომი, საბრძოლო დიდების მუზეუმთან შეიკრიბნენ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და მშვიდობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს გამყოფი ხაზის მეორე მხარის მცხოვრებლებს. უკვე რამდენიმე წელია, ამ აქციას ომის დაწყების წინა დღეს ატარებენ ქალები, თავის დროზე მის აღნიშვნას ტრადიცია ქალთა სამშვიდობო მოძრაობის ლიდერმა, აწ განსვენებულმა მანანა მებუკემ ჩაუყარა საფუძველი. მისი ქალიშვილი, ნინო ქუთათელაძე, ამბობს, რომ სამშვიდობო გზავნილები არ იცვლება და ქალები პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას, მათი ეროვნული იდენტობის მიუხედავად.

ნანა საბანაძე ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებული პირია. დიდი ხანია, ის სამშვიდობო პროცესშია ჩართული, ხშირად ხვდება გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქალებს და მათ მშვიდობაზე ესაუბრება. მიუხედავად იმისა, რომ დევნილია, წყენა დავიწყებული აქვს და დღეს ცხინვალელებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს შერიგებისა და ნდობის აღდგენისკენ.

საოკუპაციო გამყოფ ხაზთან, სოფელ დვანში, მესამე წელია, მერაბ მეკარიშვილი ეგრეთ წოდებული საზღვრის აღმნიშვნელი ბანერიდან რამდენიმე მეტრში ახალ სახლს აშენებს. 2014 წელს ნახევრად დამწვარ სახლთან საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები მივიდნენ და გააფრთხილეს, რომ მავთულხლართის გადაწევას აპირებდნენ. მერაბმა თანასოფლელების დახმარებით სახლი საკუთარი ხელით დაშალა და იქვე, რამდენიმე მეტრში, ახალი სახლის შენება დაიწყო, დროებით საცხოვრებლად კი სოფლის ცენტრში მდგარ კოტეჯში გადავიდა. მაშინ მერაბს როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები დაეხმარნენ. ახალი სახლი უკვე აშენებულია, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ბოლომდე დასრულება ვერ ხერხდება. ახალი სახლის ფანჯრიდან ძველი სახლის ნანგრევები ჩანს. მერაბ მეკარიშვილი ამ ნასახლარსაც ყურადღებას აქცევს.

დვანის გვერდით ოსური სოფელი მუგუთია. ომამდე არც დვანელებმა და არც მუგუთელებმა არ იცოდნენ, სად გადიოდა გამყოფი ხაზი. სახლები ისე ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ძნელია მიხვდე, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე სოფელი. ახლა ამ სახლებს შორის მავთულხლართი და ეგრეთ წოდებული საზღვრის აღმნიშვნელი ბანერია. დვანელები ამ ხაზთან თამამად მიდიან, მეზობლებსაც გადასძახებენ ხოლმე, მაგრამ იქიდან კავშირზე გამოსვლას ერიდებიან, რადგან რუსეთის მესაზღვრეები მათაც ისევე აკავებენ, როგორც ქართულ სოფლებში მცხოვრებლებს. მურთაზ მამაგულაშვილი დვანელია. ამბობს, 9 წლის წინანდელი ამბები გუშინდელი დღესავით მახსოვსო. ახსოვს ის ტკივილი და ტრაგედია, რაც ამ ომს მოჰყვა, დღეს კი მეორე მხრიდან ისევ ხშირად ესმის სროლის ხმა.

აგვისტოს ომის მე-9 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები გორში, შინდისსა და ერგნეთში გუშინ გაიმართა. გარდა ამისა, სოფელ ყარაფილასთან, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, საქართველოს მოქალაქეებმა ოკუპაციის გასაპროტესტებლად ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს. ერგნეთში აგვისტოს ომის მუზეუმი გაიხსნა, შინდისში კი, გმირთა მემორიალთან, მრავალი სტუმარი იყო...

გოგა აფციაური

XX-XXI საუკუნეების რუსეთი: კარანავიდან კარასინამდე

საუკუნეებია, რაც რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მისი მიმართულებები და ვექტორები არ იცვლება: ტერიტორიული ექსპანსია და გაფართოება მეზობლების ხარჯზე, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობლების საშინაო საქმეებში ჩარევა, სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა სხვა ქვეყნებში, ხისტი საგარეო პოლიტიკა და კუნთების თამაში, ეკონომიკური და სამხედრო ბლოკადა და სანქციები, სხვათა საზღვრების უხეშად დარღვევა, რბილი და სამხედრო ძალის შეზავება, მეხუთე კოლონის მხარდაჭერა სხვა ქვეყნებში, „ჰიბრიდული“ ომი, სხვა ქვეყნების ერთმანეთზე გადაკიდება და დაშანტაჟება, რეჟიმების დაცვა ან შეცვლა სხვა ქვეყნებში, საინფორმაციო ომის წარმოება, ახალი იმპერიული კავშირების (სსრკ და ევრაზიული კავშირი) შექმნა, დადებული ხელშეკრულებების არარად მიჩნევა, თითქოს რუსული მოსახლეობის ინტერესების დაცვა საზღვარგარეთ, სხვა ქვეყნების ხელმძღვანელთა მოსყიდვა, მკვლელობა და დაშანტაჟება და ა.შ. (სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთ მეთოდებზე, ოღონდ კარგად შეფუთულზე, არც სხვა დიდი ქვეყნები ამბობენ უარს, თუმცა არა ისე აშკარად, ხისტად და აგრესიულად, როგორც რუსეთი).

ასეთი იყო და არის რუსეთის საგარეო პოლიტიკა კარახანიდან (საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე) კარასინამდე (თანამედროვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). იცვლებიან დიპლომატები და რუსეთის თანამდებობის პირები, მაგრამ საგარეო პოლიტიკის შინაარსი უცვლელი რჩება.

XX საუკუნეში რუსეთში ორი კოლაფსი მოხდა — 1917 წლის თებერვლის რევოლუციას მეფე-იმპერატორის გადადგომა, სამოქალაქო ომი და რუსეთის იმპერიის დაშლა მოჰყვა. კომუნისტურმა რუსეთმა დიდი მსხვერპლის ფასად ფართოდ შეძლო სუვერენიტეტის შენარჩუნება და ფეხზე წამოდგომა. მალე სტალინმა რუსეთი უძლიერეს დერჟავად აქცია, რომელმაც სამამულო ომში კბილებამდე შეიარაღებული სუპერსახელმწიფოს — გერმანიის დამარცხება შეძლო (ამ დროს მას სურსათისა და შეიარაღების მნიშვნელოვან ნაწილს აწვდიდა ძირითადად აშშ და ნაწილობრივ ინგლისი).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთმა (იგივე სსრკ) თავის დიდების ზენიტს მიაღწია, თუმცა ხრუშჩოვის პერიოდიდან თავქვე დაექანა და ჯერ დასუსტება, მერე კი დაშლა დაიწყო. საგარეო პოლიტიკა არც ამ პერიოდში შეცვლილა.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთმა ასობით მილიარდი დახარჯა საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად, მისი დაშლა მაინც უფრო შინაგანმა მიზეზებმა განაპირობა. რუსეთში უკვე მეორედ, (XX საუკუნეში) მოხდა კოლაფსი და იგი ფაქტობრივად მუხლებზე დაჩოქილი აღმოჩნდა ელცინის ეპოქაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს აღარ შესწევდა ძალა, იგი მაინც აგრესიული რჩებოდა: გავიხსენოთ როგორ დაემუქრა ელცინი ატომური იარაღით დასავლეთს, მოაწყო აგრესია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და ფაქტობრივად წაგვართვა ეს ტერიტორიები და ა. შ.

ბევრმა ეს ჩათვალა რუსეთის და ისტორიის დასასრულად (ფუკუიამა) და აქედან არასწორი დასკვნა გააკეთა. 1993 წელს საქართველოსთვის არდახმარება და რუსეთის არდასჯა დასავლეთს საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ამას დაემატა დასავლეთის სრული დაუდევრობა და წინდაუხედაობა და ნავთობზე და გაზზე (რუსეთის ძირითად საექსპორტო ნედლეულზე) ფასების ასტრონომიული ზრდა (130-160 დოლარამდე), რამაც რუსეთის მუხლებზე წამოდგომის და მერე ფეხზე დადგომის და ომის დაწყების საშუალებაც მისცა ჯერ საქართველოში, მერე კი უკრაინაში.

დაუსჯელობით გათამამებული რუსეთი ახლა სირიას მიადგა და მსოფლიო პოლიტიკაში გლობალური მოთამაშის პრეტენზია განაცხადა. მან შეძლო ამ წაყრუებით ესარგებლა და ყირიმი წაართვა უკრაინას, აფხაზეთი და ცხინვალი ჩამოაშორა საქართველოს და მათი დამოუკიდებლობა ცნო, შეძლო თავისი მოკავშირის ასადის რეჟიმის შენარჩუნება სირიაში, ყოველთვიურად ატერორებს და აშანტაჟებს საქართველოს ხელისუფლებას საზღვრების გადმოწევით და მუქარით, ასევე ემუქრება კვლავ უკრაინასა და მოლდავეთს, ნატოს წევრ ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც კი, ჩუმად აქეზებს ჩრდილო კორეას აშშ-ს წინააღმდეგ და ა. შ.

ერთი სიტყვით, მგელი მგლობას არ იშლის. ერთი საუკუნეა ასე გრძელდება და როდემდე გასტანს ეს ყოველივე, არავინ იცის. ერთი რამე კია — რუსეთი ყოველთვის მხოლოდ ძალას უწევდა ანგარიშს და უკან მაშინ იხევდა. დასავლეთმა ან მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთის ძლიერ დასასუსტებლად (მხოლოდ სანქციები, თანაც არასრული, საკმარისი არაა, თუმცა ამ სანქციებმაც რუსეთი საკმაოდ დაასუსტა ეკონომიკურად, მაგრამ არა სამხედრო თვალსაზრისით), ან აცნობოს ზოგიერთ ქვეყანას, რომ არ შეუძლია მათი სათანადო დახმარება რუსეთის წინააღმდეგ და შემდეგ ისინი თავად გამოიტანენ დასკვნებს. აქ ლაპარაკია რუსეთის ძლიერ დასუსტებაზე და არა დაშლაზე, რაც არავის არ აძლევს ხელს შემდგომი არაპროგნოზირებადი სიტუაციიდან გამომდინარე.

ცხადია ისიც, რომ არც საქართველოსთვის და არც უკრაინისთვის აშშ რუსეთს ომს არ დაუწყებს. ამას არც არავინ ითხოვს, მაგრამ აშშ-ს შეუძლია ეკონომიკურად, ფინანსურად, სამხედრო-ტექნოლოგიური სახით აღმოუჩინოს დახმარება ამ ქვეყნებს, როგორც 1947 წელს აღმოუჩინა დახმარება ევროპის სახელმწიფოებს, გადადგას მკვეთრი ნაბიჯები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოსაგვარებლად, ამ ქვეყნებში ინვესტიციების ჩასადებად. თუ რუსეთი ამის შემდეგაც არ შეწყვეტს თავის აგრესიულ ქმედებებს, მაშინ უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და მოლდოვა გამოცხადდნენ ნეიტრალურ ქვეყნებად, რომლებიც არც ერთ ბლოკში არ გაწევრიანდებიან და ა.შ.

აშშ-ის რესპუბლიკელები რუსეთის მიმართ ყოველთვის ხისტი პოზიციით გამოირჩეოდნენ და არ უთმობდნენ დაუთმობელს მას. თავად რუსეთმაც უნდა გაიგოს და შეეგუოს იმას, რომ ყველა იმპერია ადრე თუ გვიან ინგრევა და რომ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის საკვანძო მეზობელ ქვეყანასთან საქართველოსთან ასეთი პოლიტიკა ადრე თუ გვიან კრახით დამთავრდება. შესაბამისად რუსეთმა უნდა გამოაცხადოს რომ უკან მიაქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება და აბრუნებს მათ საქართველოს შემადგენლობაში მათი დაცვის ყველანაირი კონსტიტუციური გარანტიებით, უფართოესი უფლებებით. შესაბამისად საქართველოც ამის მერე დათანხმდება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსზე.

მაიკ პენსის მრავლისმთქმელი ვიზიტი ნიშნავს, რომ აშშ ცვლის მიდგომებს როგორც რუსეთის, ისე უკრაინა-საქართველოს და სხვა დაჩაგრული ქვეყნების მიმართ. ესტონეთი-საქართველო-მონტენეგრო ნიშნავს, რომ აშშ-ს ბალკანეთში, კავკასიაში და ბალტიისპირეთში სერიოზული ინტერესები და გათვლები აქვს. იმედია, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძვრება და საქართველოსთან მიმართებაშიც (აშშ-რუსეთი) რაღაც დადებითად შეიცვლება. ცარიელი სიტყვები და ფუჭი დაპირებები ჩვენ აღარავისგან გვჭირდება, მათ შორის არც აშშ-სგანაც, თუმცა ძირითადი საქმე მაინც ჩვენი გასაკეთებელი იქნება და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

ვაჟა შუბითიძე

პუტინი ბიჭვინთაში აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს შეხვდა

აფხაზური მედია რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს ადასტურებს. სააგენტო „აპსნის“ ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მე-9 წლისთავზე პუტინი არაღიარებულ რესპუბლიკას სამუშაო ვიზიტით ეწვია.

კრემლის ლიდერს ბიჭვინთაში რაულ ხაჯიმბამ უმასპინძლა. ამის შემდეგ გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ბესლან ბარციცი და მინისტრთა კაბინეტის წევრები დაესწრნენ. აფხაზეთში ეს პუტინის მე-4 ვიზიტია.

პუტინის ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტი ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაციას ისახავს მიზნად!

...როდესაც საქართველოს მხარეში, აფხაზეთში იმყოფება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ეს არის სრულიად უშედეგო მცდელობა, რამენაირად მოხდეს ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაცია, რამენაირად გამართლდეს 2008 წლის ჯერ ოკუპაცია და შემდეგ გადაწყვეტილება, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის, — ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ვიზიტი. პრეზიდენტის განცხადებით, არასდროს, არც ერთი ქართველი არ ცნობს ოკუპაციას.

„არასდროს არანაირი ხელოვნური მავთულხლართები, თხრილები და მოგონილი საზღვრები არ გაყოფს მთლიანობას და ურყევობას ჩვენი ქვეყნისა. ჩვენ არაერთხელ გაგვივლია ეს და საქართველო ყოველთვის გამოსულა გამარჯვებული. ჩვენი სახელმწიფოებრიობა უძლიერეს იმპერიებს ვერ შეურყევია. არანაირი ახალი ამბავი, ან ახალი რეალობა, ან ახალი გამართლება ამ ჭეშმარიტებას არ შეცვლის. 2008 წელს კი არა 1921 წელს ქართველმა ბოლშევიკებმა მთელი საქართველო გადაუფორმეს საბჭოთა კავშირს და შულავერები და ორჯონიკიძეები ამა ქვეყნისა ზეიმობდნენ თბილისზე წითელი დროშის აღმართვას, მაგრამ მათ ვერ გატეხეს ქართველი ხალხი და ჩვენ მაინც ბოლოს მივაღწიეთ დამოუკიდებლობას. მე მინდა ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას და პირველ რიგში, დევნილ მოსახლეობას, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნება, პირველ რიგში, არის ჩვენს სიმტკიცეში და ურყევობაში. არაფრის დიდებით არ შეიძლება აყოლა არავითარ იდეაზე თითქოს საქართველო რამენაირად იყოს გაყოფილი, ან რაიმე ფორმით შერყეული. საქართველო არის მთლიანი, საქართველო არის მტკიცე. ასე იქნება და ამით ჩვენ მივაღწევთ, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

თუნდაც დამსაჯონ, მე მაინც წავალ მოსკოვთან სალაპარაკოდ!

თავისუფალი **დემოკრატების ახალ ინიციატივას — რუსეთის ხელისუფლებასთან კერძო ინიციატივით მოლაპარაკებების წარმოება სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახდეს, ნინო ბურჯანაძე ეხმაურება და აცხადებს, რომ თუკი ჩათვლის ,რომ ქვეყანას სჭირდება რუსეთის ლიდერებთან დალაპარაკება, ის მაინც წავა მოსკოვში, თუნდაც ამის გამო დასაჯონ.**

ბურჯანაძის განცხადებით, დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი აკრძალვები სირცხვილია.

ყურადღებით გავეცნობით ამ პროექტს!

„თავისუფალი დემოკრატების“ ინიციტივაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან კერძო ინიციატივით მოლაპარაკებების წარმოება სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახდეს, კომენტარს აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძის განცხადებით, მმართველი პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მოსკოვში ვიზიტს კიდევ ერთხელ მკაფიოდ ემიჯნება. რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ საკანონმდებლო ინიციატივას, კობახიძის თქმით, ამ საკითხს მრავალი ნიუანსი აქვს და დეტალურად არის განსახილველი.

შავგულიძე ბოკერიას დავალებებს ასრულებს!

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი „თავისუფალი დემოკრატების“ იმ ინიციტივას ეხმაურება,რომლის მიხედვითაც რუსეთთან ხელისუფლების გვერდის ავლით ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურის მოლაპარაკება რუსეთთან დასჯადი უნდა გახდეს.

ინაშვილი ამბობს, რომ დიალოგი აუცილებელია, ხოლო შავგულიძე გიგა ბოკერიას დავალებების შემსრულებელია.



ოლიგოფრენია, დებილობა და არჩევნები

ოლიგოფრენია ჭკუასუსტობაა, რომელიც ინტელექტისა და ფსიქიკის თანდაყოლილი ან შეძენილი განუვითარებლობით ვლინდება. ჩვეულებრივ ოლიგოფრენია ზოგად ხასიათს ატარებს და ფსიქიატრიაში მას არ განიხილავენ ადამიანის მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობისა თუ ქცევის კონტექსტში.

თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ქვემოთ წარმოდგენილი სტატია პოლიტიკურ ცხოვრებას ეხება და არა მედიცინას, თავს უფლებას მივცემ, გამოვიყენო ეს ტერმინი ქართული პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტის გასაანალიზებლად. მით უმეტეს, რომ ჩვენებურ პოლიტიკას თუ აქვს მეცნიერების რომელიმე სფეროსთან მჭიდრო შეხება, ეს ნამდვილად ფსიქიატრიაა.

ძალზე პოპულარულია ჩვენთან და იმ ქვეყნებშიც, სადაც ჭეშმარიტ, ანუ წარმომადგენლობით დემოკრატიაზე ისეთივე აზრისანი არიან, როგორც ვირი ხურმაზე, იმპერატიული ხასიათის შეხედულება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ცხოვრების მანკიერება ან თუნდაც პოლიტიკური პროცესის არარსებობა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ბრალია (განურჩევლად იმისა, ხელისუფლებას მიეკუთვნებიან ისინი თუ ოპოზიციას).

სიმართლის მარცვალი ზემოთ აღნიშნულში (ისიც მხოლოდ სახელისუფლებო პარტიებთან მიმართებაში) იმდენად მცირეა, მიკროსკოპითაც გაჭირდებოდა მისი აღმოჩენა.

მაინც რატომ? ნუთუ არ არიან არაფერში დამნაშავენი ჩვენი პოლიტიკური პარტიები?

ამ კითხვაზე პასუხი თვით პარტიის ცნების განმარტებაშია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტია არის ერთნაირად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს და მიზნად ისახავს ამ ინტერესების რეალიზაციას არჩევნების მეშვეობით სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობისა ან ხელისუფლებაში მოსვლის გზით.

ყურადღებით წავიკითხოთ ზემოთ აღნიშნული პოსტულატი და მივხვდებით, რომ ფაქტობრივად, პოლიტიკური პარტიები საქართველოში არასოდეს არსებულან და არც დღეს არსებობენ.

არ არსებობენ თუნდაც იმიტომ, რომ პარტია ჯერ ერთი – მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს და ამასთან ერთად, მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს. საქართველოში კი, ისევე როგორც ადრე, არც ერთია და არც მეორე.

საქართველოს მოსახლეობას რაც შეეხება, თუ ვინმე ამიხსნის, ჩვენი ელექტორატის 90%-ზე მეტს რა პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს (წინასაარჩევნოდ საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ეზოების გამწვანების, პენსიონერებისათვის ფოჩიანი კამფეტების დარიგებისა თუ უბნის ბირჟაზე მდგარი უსაქმურების ლუდით დაფეშქაშების გარდა), ნობელის პრემიას არ დავიშურებდი მისთვის. თუმცა ვშიშობ, რომ კვლავ ნობელის პრემიის ქართველი ლურეატის გარეშე დავრჩებით, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ინტერესების შესახებ არა თუ ჩვენი ხალხის ძირითად მასას, მის ე.წ. ელიტარულ ნაწილსაც კი (პოლიტიკური პარტიების სახით) არანაირი წარმოდგენა არა აქვს.

ძნელია საქართველოში, როგორც ზოგადად აზროვნებაზე, ისე პოლიტიკურ აზროვნებაზე საუბარი. ძალიან ბევრ ქართველს, ისეთს ელემენტარული ცოდნა რომ არ გააჩნია პოლიტოლოგიაში, პოლიტიკური აზროვნება უაპელაციო, დაუსაბუთებელი და ხშირად უზრდელი საჯარო განცხადებები ჰგონია.

მართალია, ზემოთ აღნიშნულით უფრო ჩვენი პოლიტელიტა სცოდავს, მაგრამ არც რიგითი მოქალაქეები აკლებენ ხელს. საქართველოში ხომ ფეხბურთში, პოლიტიკაში, დიპლომატიასა და მედიცინაში ყველა „გადასარევად ერკვევა“, საფეხბურთო დარგის ჭეშმარიტი პროფესიონალების, ნამდვილი (და არა თვითმარქვია) პოლიტოლოგების, გამოცდილი დიპლომატებისა და მეცნიერებასა თუ პრაქტიკულ მედიცინაში დამაშვრალი ექიმების გარდა, რომლებიც ავანტიურისტებსა და უვიცებს კარგა გვარიანად ჰყავთ „გვერდზე მიჩოჩებული“.

ახლა კი ჩვენი მოსახლეობის იმ, უდიდეს ნაწილზე ვილაპარაკოთ ელექტორატი რომ ეწოდება.

რომელ პოლიტიკურ აზროვნებაზეა ლაპარაკი, როდესაც არჩევანის გაკეთებისას, ამ ე.წ. ელექტორატის უდიდესი ნაწილი ან საერთოდ არ მიდის საპარლამენტო თუ სხვა არჩევნებზე, ან ბიულეტენის შემოხაზვის წინ (იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისეთისა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები რომ იყო) ერთადერთი, უაღრესად პრიმიტიული პრინციპით ხელმძღვანელობს: 1992-2002 წლების არჩევნებზე – „ვინ თუ არა – შევარდნაძე“, 2003-2011 წლების არჩევნებზე – „ვინ თუ არა – მიშა“, 2016 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე – „ვინ თუ არა – „ქართული ოცნება“ (ელექტორატის ორი მესამედისათვის) და „ვინ თუ არა – მიშა“ (დარჩენილი ერთი მესამედისათვის). აბა ამის შემდეგ ვინმეს შეეპარება იმაში ეჭვი, რომ თბილისის მერის წლევანდელ არჩევნებზეც ისევ იზეიმებს ეს პრინციპი? მხედველობაში მაქვს – „ვინ თუ არა – კახი კალაძე“ (ამომრჩევლების ორი მესამედისათვის) და – „ვინ თუ არა – ზაალ უდუმაშვილი“ (დარჩენილი ერთი მესამედისათვის).

ყოჩაღ ქართველებო! ისეთი მაგრები ვართ დასავლურ დემოკრატიასა და ევროპულ ფასეულობების ერთგულებაში (ბრჭყალებში ვამბობ, რა თქმა უნდა), რომ დარბაისელი ხალხისაგან შემდგარი ვენეციის კომისია და მისი თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიოც კი გადავრიეთ და თავ-ქუდმოგლეჯილი გავაქციეთ საქართველოდან. თუმცა, სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ჩვენი ქვეყნისა და ევროპისათვის ნამდვილად ის აჯობებდა ბუკიკიო სააკაშვილის დიქტატურითაც აღშფოთებულიყო თავის დროზე და მისთვის ესოდენ საყვარელი „ვარდისფერი“ გოგო-ბიჭებისთვის და მათი ექსცენტრიული ატამანისთვისაც „ექნია თითი“ და „ფეხებიც დაებაკუნებინა“.

მაინც რითი შეიძლება აიხსნას ქართული ელექტორატის ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ქცევა?

ისევ ფსიქიატრიას უნდა მივუბრუნდეთ. ზემოთ აღნიშნული ტიპის „...ადამიანებში სჭარბობს აზროვნების კონკრეტულ-აღწერითი ტიპი, მაშინ როდესაც აბსტრაქციის უნარი საერთოდ არ აღენიშნებათ. თუმცა, ზოგიერთი მათგანისათვის ზოგადი ფსიქიკური განვითარებისა და აზროვნების მცირე პროდუქტიულობასთან ერთად დამახასიათებელია გარკვეული ნიჭიერება (მაგ. განსაკუთრებული - მექანიკური ან მხედველობითი მეხსიერება, გონებაში რთული არითმეტიკული ოპერაციების შესრულების უნარი და სხვ.)“.

თუ ზემოთ აღნიშნულ განმარტებას, რომელიც ოლიგოფრენიის ანუ ჭკუასუსტობის ყველაზე მსუბუქ ფორმას – დებილობას შეესაბამება, პოლიტიკაზე გადავიტანთ, ეჭვგარეშეა ჩვენი ამომრჩევლის დიდი ნაწილის პოლიტიკური ოლიგოფრენებისადმი კუთვნილება, ვინაიდან ბოლო არჩევნების შემდეგ ქართული ელექტორატის უმრავლესობაში ობიექტურად დაფიქსირებული პოლიტიკური აზროვნების მცირე პროდუქტიულობისა და აბსტრაქციის უნარის არარსებობის ანუ დებილობის პირდაპირი შედეგია შევარდნაძის ათწლიანი მარაზმატული მმართველობა, სააკაშვილის აღვირახსნილი ხროვის ცხრაწლიანი ბოგინი და 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილის გარეშე დარჩენილი „ქართული ოცნების“ ხელში კონსტიტუციური უმრავლესობის ჩაგდება და რაც ყველაზე უფრო ამაზრზენია, ბოლომდე დისკრედიტებული ნაციონალური მოძრაობისათვის ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციის სტატუსის ლეგიტიმაცია.

არავის არ მინდა მივაყენო შეურაცხყოფა. ნურც ოიკოფობობას დამაბრალებს ვინმე. მხოლოდ სამშობლოსა და ჩემი ერის სიყვარული მამოძრავებს ამ მწარე სიმართლეს რომ ვამბობ. ბოლოს და ბოლოს, ინტელექტუალური კოეფიციენტებითა და უმარტივესი ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტებით ხომ ვერ გავცხრილავთ პოლიტიკური ჭკუასუსტობით შეპყრობილ უამრავ ჩვენ ამომრჩეველს, ნორმალური პარლამენტი მაინც რომ მივიღოთ, სადაც მოულოდნელი გოგო-ბიჭების, გაღორებული მობანდიტო ბიზნესმენებისა და უსირცხვილო პოლიტიკური ავანტიურისტების ადგილს ღირსეული მამულიშვილები დაიჭერენ.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი მხოლოდ უღირსი წევრებისაგან შედგება. არა! საბედნიეროდ ღირსეულებიც საკმაოდ არიან იქ წარმოდგენილნი, „ქართული ოცნებისა“ და პატრიოტთა ალიანსის ფრაქციებში, მაგრამ თუნდაც ამ ადამიანებმა, რომელთა შორის ბევრი ჩემი მეგობარია, გულზე ხელი დაიდოს და ღვთის წინაშე აღიაროს, რომ პარლამენტის წევრთა გვარიანი ნაწილი (მათ შორის ზემოთ დასახელებულ ფრაქციებშიც) ნამდვილად არ არის თავის სიმაღლეზე, რაც სწორედ დღევანდელი მანკიერი პოლიტიკური სისტემის პირდაპირი შედეგია. სისტემისა, როდესაც ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში მმართველ პარტიასთან ერთად (თუ არ ჩავთვლით პატრიოტთა ალიანსის მიზერულ წარმომადგენლობას) მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისა და ე.წ. ევროპული საქართველოს მარგინალური ჯგუფებია წარმოდგენილი.

მარტო „ქართული ოცნების“ ბრალი კი ყველაფერი ეს ნამდვილად არ არის. მთავარ დამნაშავედ ამ საერთო ეროვნულ უბედურებაში ჩვენი მოსახლეობის ის 90% მიმაჩნია პოლიტიკურ დებილად რომ ქცეულა და არ უნდა თუ ვერ ახერხებს (იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით) ტვინისა და ხელის განძრევას, რომ თუნდაც არჩევნების მეშვეობით შეეცადოს გაუსაძლისი ცხოვრების შეცვლა.

ნუთუ არ არსებობს ამ ხალხის საშვილი და ნამდვილი, ფსიქიკურად დაავადებული ოლიგოფრენებივით შეუძლებელი იქნება მათი განკურნება?

ძალიან მინდა, ეს ასე არ იყოს! ერთში კი ღრმად ვარ დარწმუნებული. არჩევნების დროს, სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის ბედ-იღბალს პოლიტიკურად ჭკუასუსტი ადამიანების უსახური მასა არ უნდა წყვეტდეს, ვინაიდან ამ გზით „ტაძრამდე“ საქართველოს ვერასოდეს მივიყვანთ.

ზურაბ მარშანია

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 33,7-პროცენტიანი გადაჭარბებით შესრულდა

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 33,7%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 28,1%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარ-ივლსის გეგმა 119 მლნ 467 ათას 700 ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 159 მლნ 751 ათას 100 ლარი, ანუ გეგმა 133,7%-ით შესრულდა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, 7 თვის მონაცემებით, 132,2 %-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 166,1%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 114,3%-ით.

რაც შეეხება იანვარ-მაისის ნაერთი ბიუჯეტის გეგმას, ის 186 მლნ 405 ათას 300 ლარი იყო, თუმცა გეგმა 28,1%-ით გადაჭარბდა და შესრულებამ 238 მლნ 768 ათას 200 ლარი შეადგინა. საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 28,6%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 40,7%-იანი გადაჭარბებით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 4,6%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. რაც შეეხება თვითმმართველ და მუნიციპალურ ბიუჯეტებს მათი შესრულების მონაცემები ასე გამოიყურება: ბათუმი – 106,1%, ქობულეთი – 85%, ხელვაჩაური – 176,4%, ქედა – 157%, შუახევი –218,8% და ხულო – 340%.

რუსთავში, მოსახლეობის დიდ ნაწილს დღეს ქალაქის მომავალ მერად გოჩა ლორიას არჩევა სურს. წინასწარმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს დასახლებაში აჩვენა, რომ თავიანთ სასურველ კანდიდატად ბევრი რამის გამო მოსახლეობა ლორიას ანიჭებს უპირატესობას.

გოჩა ლორია რუსთავშია დაბადებული და გაზრდილი, ძალიან უყვარს მშობლიური ქალაქი და მისთვის მართლაც სულერთი არ არის ქალაქის დღევანდელობა და მომავალი. გოჩა ლორია საქმეში გამოცდილი, დაბრძენებული ასაკის კაცია, საუკეთესო ოჯახის თავკაცი, ბევრ პასუხსაგებ თანამდებობაზე ნამუშევარი და კარგი რუსთაველობის, მაღალი პასუხისმგებლობის, რუსთაველთა ინტერესების წინ დაყენების გამოცდები ბევრჯერ აქვს ჩაბარებული, მან ზედმიწევნით იცის, სად, რა აკლია ქალაქს, რას და რისთვის ითხოვენ რუსთაველები, რა შეცდომა დაუშვეს ქალაქის უწინდელმა ხელმძღვანელებმა, რა შეცდომას უშვებს ამჟამინდელი ქალაქის თვითმმართველობა.

გოჩა ლორიამ თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია და თანამდებობრივი მზადყოფნა ბოლოს მაშინ დაადასტურა, ქალაქის ამჟამინდელმა მერმა დავით ჯიქიამ სრულიად მოულოდნელად ერთი წლის წინათ ვიცე-მერად რომ დანიშნა და როგორც თავად ამბობდა, მაშინ, ძალიან გამართლებულადაც. ფაქტია, რომ ვიცე-მერის ხელი აშკარად დაეტყო ქალაქს და რუსთაველებსაც იმედი გაუჩნდათ, მაგრამ იგივე მერმა, ჩანს და ყოველ შემთხვევაში ასე ირწმუნეს რუსთაველებმა, ჩემზე უკეთესი გვერდით არავინ მჭირდებაო, მოულოდნელად, რომ არავინ იცოდა, ისე გაათავისუფლა ბატონი გოჩა ვიცე-მერობიდან.

დღემდე საქმე ძიების პროცესშია, რაც სრულიად ადვილად შესაძლებელს ხდის, რომ უკანონოდ და დაუსაბუთებლად გათავისუფლებულმა ვიცე-მერმა თავი აღიდგინოს და ხელფასის კომპენსაციაც მიიღოს. მომხდარმა ფაქტმა ერთმნიშვნელოვნად არაფერი დააკლო, ბევრი რამ შემატა მერობის მომავალ კანდიდატს მოსახლეობის თვალში.

ახლა გოჩა ლორიას გამერებას ბევრი რუსთაველი ბევრი მიზეზის გამო ნატრობს, ჩვენი ინტერვიუც მასთან გუშინ შედგა.

ქალაქის მერი ოჯახის თავკაცივითაა

— ბატონო გოჩა, საიდან მოდიხართ, რა გაგიკეთებიათ რუსთაველებისათვის?

— კომკავშირიდან მოვდივარ, იმ რუსთავიდან მოვდივარ, როცა ფილმებს იღებდნენ ჩვენს ქალაქზე, მეც სრულიად ახალგაზრდა კარგად ვიცნობდი ჩემი თაობის ახალგაზრდების ინტერესებს, საწარმოებს, სიკეთესა და სიყვარულზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, ვიცნობდი დიდსა და პატარას, ვიცოდი, როგორი წესიერი ქალაქი გვქონდა და როგორი რუსთავი უნდა აგვეშენებინა წლების მერე.

— ავაშენეთ კი?

— ქალაქი, სადაც ასზე მეტი საწარმო იყო, სადაც 170 ათასზე მეტი მოქალაქე ცხოვრობდა, ქალაქი, სადაც ქვეყნის ყველა კუთხიდან სიხარულით მოდიოდნენ ადამიანები აქ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ქალაქი, სადაც ყვაოდა ქართული თეატრალური კულტურა, მწერლობა, ქორეოგრაფია, სადაც წიგნიერება განფენილი იყო მთელს ქალაქსა და საწარმოებში (ბიბლიოთეკები ყველა საწარმოში არსებობდა), რომელი ერთი ჩამოვთვალო, დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, მკვდარი ქალაქია, უმუშევარი, დაუსაქმებელი ადამიანთა მასა სოციალური პრობლემის მსხვერპლია, მამების თაობის შემყურე შვილები უმიზნოდ დაეხეტებიან ბარებსა და ტოტალიზატორებში, მრავალბინიანი სახლების ეზოები სავსეა სალაყბოებით, ქალაქს აღარ აქვს ერთი კინოთეატრიც კი, არ არის ახალგაზრდული კლუბები, აღარ არის ბინათმშენებლობა, აღარ არის ქალაქის ეკონომიკა, ყველა კუთხე და გოჯი მიწისა გაყიდულია, რომელი ერთი ჩამოვთვალო, დღეს ქალაქში თუ რამ იზრდება და მრავლდება, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სასაფლაოა, სიკვდილიანობამ საგრძნობლად იმატა და ისევ სამწუხაროდ, დემოგრაფიული პრობლემა გამწვავდა, რუსთავში ბავშვთა დაბადებამ იკლო და ეს მაშინ, როდესაც მეზობელ, არაქართულ რაიონებში ეს პრობლემა არ არსებობს, ამგვარი უბალანსობა რას უქადის რუსთავს, გასაგებია. 20 წელიწადში რუსთავი, ადვილი შესაძლებელია, ქართული ქალაქი აღარ იყოს, ახლა ამას ემატება ისიც, რომ ქუჩები აივსო აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული ფერადკანიანი მოსახლეობით, ისინი ინტენსიურად სახლდებიან რუსთავში, ყიდულობენ სავაჭრო ობიექტებს, სხვადასხვა სახის საწარმოებს, სახლებს, ნაკვეთებს და მუშახელად, თითქმის უხელფასოდ, ქართველებს ამუშავებენ, საუბარი ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე შორს წაგვიყვანს, დასკვნა ერთია და კითხვაც — განა ამას ქალაქის ეროვნული პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სწორად მართვა ჰქვია?

— და თქვენ სად იყავით ამ წლებში?

— წლების განმავლობაში, ამ 20-25 წლის წინათ ვმუშაობდი ქვემო ქართლის გუბერნიაში, ვიცე-გუბერნატორად, შემდეგ მარნეულის გამგებლად, შემდეგ წლებში რუსთავში ჭყონდიდელის დასახლების მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, ვმუშაობდი სულ სხვადასხვა პოზიციებზე და არასოდეს — მარტივად ან ადვილად, ყველა სამუშაო ყველა თანამდებობაზე ჩემგან უდიდეს ძალისხმევას ითხოვდა.

— უფრო კონკრეტული ფაქტებით ისაუბრეთ, თუ შეიძლება...

— გუბერნიის აპარატში მუშაობისას მახსოვს, რა მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო ენის პრობლემის მოგვარება, რუსთავში ენის პალატის ქვემო ქართლის დეპარტამენტმა შეძლო ის, რომ ეთნიკურად ჭრელ რაიონებში ქართული ენის შესწავლა სახელმწიფოებრივ დონეზე პირველი რიგის ამოცანად ქცეულიყო, იმ პერიოდში ნასწავლი ქართულით ახლა ბევრი აზერბაიჯანელი თავს იწონებს, თანამდებობებზე ინიშნება და პარლამენტში ქართულ ენაზე გამოდის სიტყვით.

წალკა ერთ-ერთი და პრობლემური ქალაქი იყი, აქ ქართული სკოლა არ არსებობდა. აჭარელი ემიგრანტების პრობლემაც თავსატეხად გვექცა. ის ფაქტი, რომ წალკაში მხოლოდ ერთი 28-მოსწავლიანი და 12-მასწავლებლიანი სკოლა იყო, მკარნახობდა, რომ, მოგვემძლავრებინა და მოგვემრავლებინა ქართული მოსახლეობა, ასეც მოვიქეცით, დღეს წალკა რომ ქართული ქალაქია და ამდენი ქართული სკოლაა, თამამად ვიტყვი, იმ პერიოდის სწორი პოლიტიკის დამსახურებაა. პირადად მე ლამის ფეხით მოვიარე საბერძნეთის ქალაქები, იქაურ ბერძნებს ვხვდებოდი, ბინების პრობლემის მოსაგვარებლად წალკაში ჩასახლებული ქართველებისათვის სათითაოდ ვზრუნავდი... მერე იყო მარნეული, სადაც მე გამგებლად ვმუშაობდი, აქ აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის ურთულეს პრობლემას წავაწყდი. ორი ერთმანეთზე გადაკიდებული ერი იმასაც კი აკვირდებოდა, ვის ჩამოართმევდა გამგებელი ხელს, ვის ეტყოდა გამარჯობას, ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ. 24-საათიანი ტიტანური შრომა გვიწევდა მე და ჩემს გუნდს, რომ ერთმანეთთან დაგვეახლოვებინა ორი ერის მეზობლები, თანამშრომლები, მოსახლეები, ჩვენ ეს შევძელით და ძალიან მშვიდობიანად, რაც მაშინ და დღესაც მაფიქრებინებს, რომ მარნეულის მაგალითის გამოყენებით ადვილი შესაძლებელია სრულიად უმტკივნეულოდ დარეგულირდეს მთიანი ყარაბახის პრობლემა, ვისთვის — როგორ და მე მიმაჩნია, რომ ისტორიულად და დღესაც ქვეყნის პოლიტიკას (ცუდსაც და კარგსაც) ხელმძღვანელი პიროვნებები ქმნიან და გონიერ, გამოცდილ, კეთილისმყოფელ თავკაცს დიდი ძალა აქვს მოსახლეობაზე. მინდა ვთქვა, რომ მარნეულში სამაგალითო ურთიერთობების ჩამოყალიბებით, კონფლიქტის არცერთი კერა არ გაჩენილა. აქ გავაკეთეთ გზები, მივხედეთ კულტურის დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, სოფლის მეურნეობას, ბევრს აღარ განვაგრძობ, უფლებამოსილების გადამეტების გამო, ერთხანს დამაპატიმრეს, სამი თვე ციხეში ვიყავი, მერე ყველაფერი გაირკვა და გამომიშვეს, აირია ქვეყანა, მე ბიზნესში წავედი, ჩემს ოჯახს რჩენა უნდოდა, შორიდან ყურებამ კიდევ უფრო მეტი რამ დამანახა, ჯერ ერთი, თავად ბიზნესი, ეს ის სფეროა, რომლის ღრმა ცოდნა ქალაქის პირველ პირს ჰაერივით სჭირდება, ჩვენმა ქალაქმა თუ არ მოიზიდა ინვესტიციები, არ განავითარა ბიზნესი, არ აწარმოა საკუთარი ეკონომიკა, არაფერი ეშველება, მე შევძლებ ამ სფეროს წარმატებით მართვას.

— ბატონო გოჩა, თქვენ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად, გაქვთ მართვისა და მენეჯმენტის მაღალი დონის ცოდნა, როგორ მიაღწიეთ ამას?

— 1991 წელს მიზნობრივი ვიზიტით ვიყავი ამერიკაში, სადაც ვისმენდი ლექციებს თვითმმართველობის მოდელის პრინციპების შესახებ, მოგვიანებით ვიყავი გერმანიაში, საზღვრისპირა რეგიონებში მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობის თემებზე ლექციების მოსასმენად, გახლდით დანიაში, ულბორგის უნივერსიტეტში, სადაც გარკვეული ცოდნა შევიძინე მართვის, გუნდური მუშაობის, მოსახლეობასთან გულითადი ურთიერთობის პოლიტიკის... მსურს, ყველაფერი ჩემი ქალაქისათვის გამოვიყენო.

— თუ ჩემს მოსაზრებას გაიზიარებთ, დღეს ამ ქალაქში ყველაზე მეტად ახალგაზრდების ბედზე ფიქრია საჭირო, მერი რომ გახდეთ, რას გააკეთებთ?

— პირველ რიგში თაობათა კავშირის აღდგენაა საჭირო, მამათა და შვილთა დაახლოებაა საჭირო, პრაქტიკულად ეს ისევ დასაქმებით, ერთობლივი ღონისძიებებით უნდა მოხდეს, ჩემს კონკრეტულ მოსაზრებებს თავს არავის მოვახვევ, ჩვენს ქალაქში ისეთი გონიერი ადამიანები არიან, თავად მკარნახობენ ყველაფერს, ადამიანებს უნდა დავაცალოთ დამოუკიდებელი აზროვნება, ამ დღეებში ქალაქის მოსახლეობას რომ ვხვდები, მათაც ვეუბნები — მე თქვენ დაგიგდებთ ყურს... აქ ყველამ თავისი წილი საქმე უნდა აკეთოს, დაგვლუპა თათქარიძეობამ, ერთმანეთის ხელში ყურებამ, მედღეხვალიობამ, გასაკეთებელია ეზო, დღესვე უნდა გაკეთდეს, დასანგრევია უსახური შენობა, უნდა დაინგრეს, ასაშენებელი უნდა აშენდეს — გვეყო სიზარმაცე, ხოლო ქალაქის მერებს — კაბინეტებში ჯდომა, სავარძლებში წოლა, ყავის სმა, გამუდმებით უცხოეთის ქვეყნებში ვოიაჟები. სასაცილოა და სატირალიც, რომ მე ვიცე-მერობიდან ჩემი აქტივობის და ვითომ უფლებამოსილების გადამეტების გამო გამომიშვეს. ვინ? საზოგადოებასთან ურთიერთობის და პრესსამსახურის ხელმძღვანელმა თამარ აქუბარდიამ, რომელმაც სკოლის დირექტორებთან შეხვედრაზე მიიჩნია, რომ მე რაღაცა გადავამეტე, ეს გახდა საფუძველი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლებისა. თუკი გავხდი მერი, ანუ ჩემი ქალაქის დიდი ოჯახის თავკაცი, ყველაფერს დინჯად შევაფასებ, სიღრმისეულად განვსჯი, ვერ ვიტან თვალთმაქცობას, დაბეზღებას, ჭორებს. საოცრად მაწუხებს ახალგაზრდების ბედი, ქუჩებში ასე უსაქმოდ რომ დახეტიალობენ, ან დიპლომირებულნი წლობით უმუშევრები რომ არიან, ვიღაცას ძალიან უნდა აწუხებდეს პენსიონერთა ბედი, 180 ლარით როგორია ცხოვრება, თავად უნდა წარმოიდგინოს იმ ვიღაცამ და ხელფასზე დანამატის მიღების ნაცვლად, წამლები შეუძინოს პენსიონერებს. ქალაქის მერიამ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს რუსთავის კულტურასა და კულტურულ ცხოვრებაზე, რაც არ ნიშნავს მხოლოდ კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურა ფართო ცნებაა და ჩვენ ამ ქალაქს უნდა დავუბრუნოთ კულტურული ქალაქის სტატუსი უამრავი ახალი წამოწყებით, ახალგაზრდული კლუბებით, წიგნიერების ამაღლებით, ლიტერატურისა და მწერლების პატივისცემით, განათლებულ ადამიანთა პატივისცემით, პროფესიონალთა და შემოქმედთა დაფასებით... ეს ჩემი, როგორც მამის მოვალეობაცაა. ჩემი სამი შვილი — ლაშა, ლევანი, ლონდა და ყველა მათი თანატოლი ღირსეულ ქალაქში ღირსეულ მოქალაქეებად უნდა გრძნობდნენ თავს, ისინი აქ უნდა დამკვიდრდნენ, აქ უნდა იმუშაონ, რუსთავიდან გაქცევის სურვილი არავის უნდა ჰქონდეს. მე ამას შევძლებ...

— თქვენს კონკურენტებზე რას იტყვით?

— ყველას პატივს ვცემ და ყველა მათგანს წარმატებას ვუსურვებ.

ესაუბრა
ლია მარტაშვილი
ქ. რუსთავი

ჯაჭვ-გაუხდელი მეფე და მეომარი

ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსი ასპინძაში

...5 აგვისტოს დილიდანვე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ასპინძის ცენტრში, ე.წ. ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დიდი ქართველი მხედართმთავრის, უჭკნობი შარავანდედით მოსილი მეფის – ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსი გაიხსნა.

ერეკლე მეორე თითოეული ქართველისათვის სიმბოლოა ჯაჭვგაუხდელი მეომარი მეფისა, რომელმაც აუარებელი ბრძოლა გადაიხადა სამშობლოს გადარჩენისათვის. პატარა კახი კი, მესხეებისთვის, ყოველთვის ასოცირდება ასპინძასთან, რადგან ამ მადლიან, ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე, იქ, სადაც დიდი რუსთველის აკვანი დაირწა, პატარა კახმა, მცირე ჯარით და გენიალური სამხედრო ტაქტიკის გამოყენებით, ისეთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, რომ პრუსიის მეფესაც – ფრიდრიხ მეორესაც, ალბათ ასპინძის ომის გამოისობით, ათქმევინა დაუვიწყარი სიტყვები: **„აღმოსავლეთში ერეკლე მეორეა, დასავლეთში – მეო“!**

საქართველოს არც ერთ მხარეში ერეკლე მეორეზე ზეპირსიტყვიერების იმდენი მარგალიტი – ლექსი, ლეგენდა, თქმულება, არ შექმნილა, რამდენიც მესხეთში და ეს არცაა გასაკვირი. მეფე ერეკლე თითოეულმა მესხმა შეიყვარა და შეისისხლხორცა.

ქართველ მეფეთაგან, ალბათ, ყველაზე მეტი ცხოვრებისეული დეტალებიც მეფე ერეკლეზეა ცნობილი, რადგან იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართულ ისტორიოგრაფიაში და ხალხის – გლეხკაცობის, ყველაზე საყვარელი მეფე იყო, რომლის მიმართ სიყვარული არასოდეს არ განელებულა.

ასპინძის ომზე კი არაერთი ისტორიული გამოკვლევა, მონოგრაფია, პუბლიკაცია დაიწერა, ცხადია, კიდევ მრავალი დაიწერება და კვლავ არაერთხელ იქცევა კვლევის საგნად.

მადლიერმა შთამომავლობამ თავის სატახტო ქალაქ თელავში ხელთუქმნელი ძეგლი აუგო, რომელიც თელავის სავიზიტო ბარათად იქცა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ასპინძის ომის მემორიალური ქვა ასპინძის ცენტრშიც დაიდგა, რომელიც დღეს, ფაქტიურად, სრულიად ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და სწორედ ამიტომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ლევან ცაბაძის** ინიციატივითა და რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, გუბერნატორ **აკაკი მაჭუტაძის** მხარდაჭერით გადაწყდა, ასპინძის ცენტრში, ე.წ. „ერეკლე მეორის ნახიდრის“ გზასაყარზე, საიდანაც გზა ცნობილი ბრძოლის ველისაკენ მიემართება, აღმართულიყო ასპინძის ომის ამსახველი ექვსმეტრიანი მემორიალური კომპლექსი, რომლის ავტორი ცნობილი ქართველი მოქანდაკე **დავით ტაბატაძეა**.

მემორიალური კომპლექსის გახსნას რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან, დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა მხარიდან, განსაკუთრებით კახეთიდან, – ერეკლე მეფის სატახტო ქალაქ თელავიდან, სოლიდური წარმომადგენლობა დაესწრო.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მხარის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე,** ასპინძის გამგებელი **ლევან ცაბაძე,** მეუფე **თეოდორე,** კახეთის გუბერნატორი **ირაკლი ქადაგიშვილი.**

ცერემონიალის შემდეგ რამდენიმე მათგანს ვთხოვეთ, გაეზიარებინათ თავისი შთაბეჭდილება კომპლექსის გახსნასთან დაკავშირებით:

ლევან ცაბაძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

– იცით, რომ მეც, ერთ-ერთი პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნის. ვერ დავიკვეხნი, რომ ძალიან კარგად ვიცი საქართველოს ისტორია, მაგრამ, ასე თუ ისე, რაღაც-რაღაცებში ჩახედული ვარ და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, – რა შეიძლება მომხდარიყო, რომ არა ერეკლე მეფის ეს ნაბიჯი, – ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მიმაჩნია, რომ ამ ბრძოლამ განაპირობა ის, რომ მხარის უკუღმა დატრიალებული ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდა და დღეს, ჩვენ რომ ვართ საქართველოს სამხრეთის შემადგენელი ნაწილი, რითაც ვამაყობთ, ამ ბრძოლის დამსახურებაა. ამიტომ, ვფიქრობ, დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესები აქტიურად ვითარდება, ერმა თავისი ისტორია კარგად უნდა იცოდეს და ეს კომპლექსიც ძალიან დიდხანს დაამახსოვრებს ჩვენს გმირულ ისტორიას როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე თითოეულ აქ გამვლელ ადამიანსაც, – თუ ვინ ვიყავით და რა ბრძოლების გადამტანია ეს ძირძველი ქართული მიწა.

ჩემი გამგებლობის პირველი დღიდანვე დავიწყე ფიქრი ფინანსური სახსრების მოსაძიებლად. მოგეხსენებათ, ასეთი კომპლექსის მშენებლობა დიდ ფინანსებს მოითხოვს და ჩვენ ეს შევძელით. პროექტი ორ ეტაპად დავყავით – პირველი ეტაპი ბეტონის მასალით მშენებლობას ითვალისწინებს, მალე იგი მთლიანად ჩაისმება სპილენძის გარსში. მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. იდეა, რა თქმა უნდა, ჩვენგან წამოვიდა, თუმცა, მხარის გუბერნატორის მხარდაჭერით, როგორც ხედავთ, პროექტი განხორციელდა.

ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვახერხეთ და ასპინძას შევმატეთ ერთ-ერთი ღირშესანიშნავი მონუმენტი. იმედია, იგი დროთა განმავლობაში ასპინძის სავიზიტო ბარათად იქცევა სხვა დიდ ღირშესანიშნაობებთან ერთად.

პლატონ კალმახელიძე, ქალაქ თელავის მერი:

– პირველ რიგში, მივულოცავ ასპინძელებს და სრულიად საქართველოს დღევანდელ დღეს, ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის გახსნას. ერეკლე მეფე არ იყო საქართველოს ისტორიაში უბრალო მეფე. იგი განსაკუთრებით გამორჩეული მეომარი, ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ჭეშმარიტად სახალხო მეფე იყო, რომელსაც ხალხმა თიკუნად „პაპა“ შეარქვა. განსაკუთრებით ახლაა მნიშვნელოვანი, სწორად შევაფასოთ საქართველოს ისტორია და, განსაკუთრებით, ისტორიის ის ნაწილი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის აწმყო და მომავალი.

აკაკი მაჭუტაძე, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი:

– პირველ რიგში, ასპინძას და სრულიად საქართველოს მივულოცავ დღევანდელ დღეს. 250 წლის შემდეგ კიდევ უფრო დაფასდა ასპინძის ბრძოლის შემოქმედი, მეფე ერეკლე. მისი სახელი განსაკუთრებით აქ გამობრწყინდა, რადგან ეს იყო უმაგალითო გამარჯვების დიდი სიმბოლო, რითაც ერეკლეს სამხედრო ნიჭი სწორედ ამ ბრძოლაში გამოვლინდა. ამიტომაცაა, რომ აშშ-ის ვესტპოინტის ცნობილ სამხედრო აკადემიის სალექციო კურსში, საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთ პარაგრაფად ასპინძის ბრძოლაც არის შეტანილი. ერეკლე მეფის სახელი საუკუნეებს გაუძლებს და იგი ყოველთვის დარჩება ქართველთათვის გამორჩეულ და საყვარელ პატარა კახად.

ირაკლი ქადაგიშვილი, კახეთის გუბერნატორი:

– დიდი მადლობა მინდა, მოვახსენო ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მხარის გუბერნატორს, სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის წინამძღოლს და ამ მონუმენტის ავტორს იმ ღვაწლისათვის, რითაც კიდევ ერთხელ უკვდავყვეს პატარა კახის სახელი და ამ მონუმენტში ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული პერიოდი გააცოცხლეს. დღესაც აუცილებელად მიმაჩნია, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იხარჯებოდეს მნიშვნელოვანი ფინანსები. ამიტომაცაა, რომ მუნიციპალიტეტის მესვეურები სერიოზულად ფიქრობენ და ცენტრალურ გზებთან, თვალსაჩინო ადგილებზე, ჩვენს ისტორიასაც აცოცხლებენ. ამ ერთიანობაში, აწმყოს, ისტორიის ერთიანობაში, იბადება მომავალი. და აი, ამ მომავლის დაბადების პატარა ბედნიერი წუთებია ეს და მადლობა მინდა მოვახსენო ყველა ასპინძელს ამისათვის.

კარლო ხუციშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ასპინძის მკვიდრი:

– ასპინძის ომი ქართველი კაცისათვის სამშობლოს სიყვარულის, მამაცობისა და ომის სტრატეგიის სიმბოლოა. 1770 წლის 20 აპრილს, სახელოვანი ქართველი მეფის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით ქართული ჯარის ასპინძაში მსგავს გამარჯვებას ნებისმიერი დიდი სახელმწიფო ინატრებდა.

ასპინძის ომში გარკვეული წვლილი მიუძღვის ადგილობრივ მოსახლეობასაც, რომ არა მათი მხარდაჭერა, ალბათ, ერეკლე მეორეს ძალიან გაუჭირდებოდა გამარჯვების მიღწევა. დღეს, ჩვენს დაჭრილ სულს ესაჭიროება განკურნება, მომავლის რწმენისა და ქვეყნის შენების სურვილის დაბრუნება. ეს მონუმენტი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა, სჭირდება ყველა ქართველს, რომ გაიგოს ჩვენი წინაპრების საქმენი საგმირონი, იგი დიდი პატრიოტული გრძნობების გამღვიძებელი გახდება ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის.

ამიტომ, მადლობა მინდა, გადავუხადო ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტის შექმნის ინიციატორებს, მის ავტორს, მშენებლებს და ყველას, ვისაც მის აგებაში მიუძღვით წვლილი.

მისასალმებელია, რომ სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით სწორედ ამ დღეს დაამთხვიეს მესხური ფოლკლორის ფესტივალი, სადაც რეგიონის უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტმა მიიღო მონაწილეობა და გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გვერდით, ლამაზად გაფორმებულ სცენაზე, წარმოადგინეს თავიანთი ხალხური შემოქმედება.

ფესტივალზე მოეწყო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ ადამიანთა დიდი ჯგუფის საზეიმო დაჯილდოება, ხოლო, სიმბოლურად, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონის გუბერნატორებმა სამახსოვრო საჩუქრები – ერეკლე მეფის პორტრეტი და ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის მაკეტი გადასცეს ერთმანეთს.

ფესტივალმა გვიანობამდე გასტანა და ღონისძიების დასასრულს, ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო კონცერტი ცნობილი მუსიკოსის **ნიაზ დიასამიძისა** და „ჯგუფ-ვვა“-ს მონაწილეობით.

ავთანდილ ბერიძე,
ასპინძიდან, სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

სწორედ ასე იქნა გამოყვანილი ომიდან ფინეთი. 1943 წლის დეკემბერში, თეირანის შემდეგ, სტალინმა გასცა ბრძანება, დაამუშაონ ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლეოდა, გამოეყვანათ ომიდან ფინელები „მცირე სისხლით“. პირველი შეკითხვა, რომელიც სტალინმა მისცა თავისი სტრატეგიული ავიაციის ხელმძღვანელ გოლოვანოვს, იყო... თუ იცის მან ფინეთის ისტორია? ოპერაცია მოამზადეს, მაგრამ ნებისმიერ ვარიანტში, თუნდაც დამნდობშიც — ესაა დაბომბვები. დარტყმა უნდა მიეყენებინათ ჰელსინკის აეროპორტზე, სარკინიგზო კვანძზე და იმ სამხედრო ობიექტებზე, რომლებიც ფინეთის დედაქალაქში იმყოფებოდა. ცივილიზებული ევროპელები იმ ომის მსვლელობის დროს უბრალოდ იწყებდნენ დაბომბვებს საცხოვრებელ კვარტლებზე და დიდად არ იკლავდნენ თავს სინდისის ქენჯნით. სტალინი?

„საუბრებიდან ცხადი იყო, რომ... სტალინი პატივისცემით იყო განწყობილი ფინელი ხალხისადმი... ცხადი იყო, რომ ავიაციის მასირებული დარტყმები გამოიწვევდა უზარმაზარ მსხვერპლს ისედაც მცირერიცხოვანი ხალხისა... პირველი წელი არ იყო, რაც სტალინს ვიცნობდი, ვხედავდი, რომ მერყეობდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში“ (ა. ე. გოლოვანოვი. შორეული ბომბდამშენი...).

1944 წლის 6 თებერვალს მოვიდა ბრძანება მიაყენონ დარტყმა ჰელსინკის გარეუბნებში. 7 თებერვლის ღამით დარტყმა განხორციელდა. ფინელებმა გაიგეს სიტუაცია და მალე დაუკავშირდნენ სსრ კავშირის ელჩს შვედეთში ა. კოლონტაის. და უკვე 16 თებერვალს გაიმართა პირველი არაოფიციალური შეხვედრა. თუმცა მოლაპარკების პროცესი მალევე შეწყდა. ამიტომ იმავე დღეს ჰელსინკის მიდამოებში ფრენები გაიმეორეს. მაგრამ ფინეთის მთავრობის თანხმობა — გამოსულიყვნენ ომიდან ჩვენი პირობებით — ძველებურად არ შემოსულა. ფინეთი აჭიანურებდა პასუხს. მაშინ 1944 წლის 27 თებერვალს განხორციელდა მესამე ავიადარტყმა.

„იმ თვითმფრინავების მასას, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამ ფრენებში, რომ მიეყენებინათ დარტყმა პირდაპირ ჰელსინკზე, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი შეწყვეტდა თავის არსებობას. გაფრენა იყო მკაცრი და უკანასკნელი გაფრთხილება. მალე მე მივიღე სტალინის მითითება — შორეული მოქმედების ავიაციის საბრძოლო მოქმედება შეწყდესო. ასე დაედო საფუძველი მოლაპარაკებების დაწყებას ფინეთის ომიდან გამოსვლის შესახებ“ (ა. გოლოვანოვი).

ქ. როკოსოვსკი

ეს სტალინის მეთოდია — მინიმუმი მსხვერპლი, მაქსიმუმი შედეგი. ფინელებს გაუმართლა — 1944 წელს ფინეთისთვის დარტყმა რომ მიეყენებინა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ავიაციას, ჰელსინკში არც ერთი დაუნგრეველი სახლი არ დარჩებოდა...

...1944 წლის ზაფხულის ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაციის გეგმა შეიმუშავა მარშალმა როკოსოვსკიმ, რისთვისაც მას უზრუნველყოფილი აქვს შთამომავლობის სამარადისო მადლობა. მაგრამ მისი გეგმა ხომ იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ გადაწყვეტილების მიღება იყო მეტად რთული. მაგრამ სტალინმა იგი მიიღო. საქმე ისაა, რომ როკოსოვსკიმ, სამხედრო ხელოვნების კანონების საპირისპიროდ, შესთავაზა, მიეყენებინათ არა ერთი, არამედ უმალვე ორი მთავარი დარტყმა:

„გ. კ. ჟუკოვი და გენერალური შტაბი კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ორი მთავარი დარტყმისა და მოითხოვდნენ მხოლოდ ერთს — დნეპრის პლაცდარმიდან, როგაჩოვის რაიონში. უმაღლესიც ამ აზრს უჭერდა მხარს. მთავარი დარტყმის მონაკვეთზე ხომ თავი უნდა მოეყარა ყველა ძალისა და საშუალების მაქსიმალურ რაოდენობას, და ამიტომ როკოსოვსკის შემოთავაზებული ვარიანტი ანახევრებდა ამ ძალებსა და საშუალებას, რაც პირველი შეხედვით უბრალოდ იყო დაუშვებელი, მეტი რომ არაფერი ითქვას. ეს რომ შემოეთავაზებინა არა როკოსოვსკის, წინადადებას ასეთი ოპონენტების არსებობის დროს, მხატვრულად რომ ვთქვათ, ყურს არავინ დაუგდებდა, უწოდებდნენ უკეთეს შემთხვევაში — როგორც მოუფიქრებელს, უარეს შემთხვევაში — როგორც უსუსურს“. (ა. გოლოვანოვი).

მაგრამ როკოსოვსკის ჰქონდა ავტორიტეტი. სტალინგრადის ბრძოლაში სწორედ მან შესთავაზა — ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის განადგურება დაევალოს ერთ მხედართმთავარს. და ყველაფერი ტრიუმფით დასრულდა. სწორედ ის სთავაზობდა, კურსკის რკალზე მთელი ჩვენი დაცვა ერთ ხელში გადაეცათ. და მას თავდაპირველად არ დაუჯერეს, და ჩვენი დაცვა კინაღამ არ გაარღვია გერმანელების ტანკების სოლმა. ამის შემდეგ როკოსოვსკის ავტორიტეტი უმაღლესის თვალში ძალიან მაღალი გახდა. თუმცა მეტად არაჩვეულებრივი იყო მის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილება:

„ცხადი იყო, რომ როკოსოვსკი მოუფიქრებელ წინადადებებს არც შემოიტანდა, არც დაიცავდა. უმაღლესმა კონსტანტინ კონსტანტინეს ძეს შესთავაზა, გასულიყო მეორე ოთახში და კიდევ ერთხელ მოეფიქრებინა, თუ ის მართალია. როდესაც როკოსოვსკის დაუძახეს, მან მოახსენა, რომ მას თავისი აზრი არ შეუცვლია. მას მეორედ შესთავაზეს გასულიყო და კიდევ ერთხელ მოეფიქრებინა“ (.ა. გოლოვანოვი).

როდესაც სტალინის კაბინეტში დაბრუნდა, როკოსოვსკიმ იცოდა, რომ ის მეტად რისკავდა და მისი არაჩვეულებრივი გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში შედეგები მისთვის შეიძლება იყოს ყველაზე სამწუხარო. მაგრამ ის კვლავ იცავდა თავის თვალსაზრისს. და სტალინი მას დაეთანხმა:

„უმაღლესისთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ თავის წინადადებაში მხოლოდ ღრმად დარწმუნებული ადამიანი შეძლებს დაიცვას და მოითხოვოს თავისი წინადადების შესრულება. კონსტანტინ კონსტანტინეს ძის წინადადება მიღებული იქნა, მიუხედავად მოუხსნელი წინააღმდეგობებისა. უმაღლესმა მიიღო წინადადება და თქვა, რომ სარდლის ასეთი დაბეჯითება არის წარმატების გარანტია. და როკოსოვსკი მართალი აღმოჩნდა, რასაც ჩვენ მომდევნო მოვლენებში დავინახავთ“.

წითელმა არმიამ გაარღვია გერმანელების ფრონტი და შეუჩერებლ ნაკადად დაიწყო ევროპაში შედინება. ჩვენი არმიის ასეთმა წარმატებულმა მოქმედებებმა მიგვიყვანა იმასთან, რომ მოკავშირეთა მთავარი ამოცანა გახდა იქ რუსების დაუშვებლობა. ჩერჩილს სურდა ჩვენი შეჩერება ბალკანეთში. საჭირო იყო, რომ ჩვენი ჯარების მისვლის მომენტისთვის მათ ხვდებოდნენ უკვე კანონიერი (ესე იგი დასავლეთის მიერ აღიარებული) მთავრობები, რომლებიც გაადუკეტავდნენ რუსულ არმიას ევროპაში შემდგომი წინსვლის გზას. ერთ-ერთი საკვანძო ადგილი, სადაც ინგლისელები ქსოვდნენ თავიანთ ობობას ქსელს, იყო იუგოსლავია. სიტუაცია იქ მაქსიმალურად აბურდულ-დაბურდული იყო. ხორვატია, ჰიტლერის მხარდაჭერით, გამოიყო, და მან ჩამოაყალიბა თავისი არმია, გახდა გერმანიის მოკავშირე. შუაზე გახლეჩილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოქმედება დაიწყო პარტიზანების ორმა სახეობამ — მონარქისტებმა, რომლებსაც ლონდონი უჭერდა მხარს, და კომუნისტებმა ტიტოს ხელმძღვანელობით, რომელსაც მოსკოვი უჭერდა მხარს. მათ გარდა აქ იყო იტალიის ჯარები. და ეს ოთხი ძალა ებრძოდა ერთმანეთს, დებდნენ ერთმანეთთან დროებით ზავსა და კავშირებს. ინტერესების მთელი ხლართი. ერთხანს ლონდონმაც „მოულოდნელად“ დაიწყო დახმარება ტიტოს პარტიზანებისა, რომლებიც თანდათან უფრო ძლიერდებოდნენ. ტიტოსადმი კეთილგანწყობის მწვერვალად იქცა ჩერჩილის შვილის ვიზიტი, რომელიც იქ გაჩნდა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი:

მისი გამოჩენა მარშალ ტიტოსთან მთლად ჩვეულებრივი არ ყოფილა — ის იქ გადმოსვეს პარაშუტით. როდესაც მიღებული ცნობების შესახებ სტალინს მოვახსენე, — წერს ა. გოლოვანოვი, — ის ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თქვა: **„გახსოვდეთ, პრემიერების შვილები ასე მარტივად არ ხტებიან პარაშუტებით და სხვათა შტაბებში გარკვეული მიზნების გარეშე არ ჩნდებიან“.**

ამხანაგი სტალინი აბსოლუტურად მართალი აღმოჩნდა. მეტად საჩვენებელია ამ ისტორიის კვანძის გახსნა. ურთიერთობანი ბრიტანელებსა და პარტიზანებს შორის სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა.

„საქმე ისაა, რომ 1944 წლის თებერვალ-მარტში ბუგზე გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ ჩვენი ჯარები აპრილში გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე და შევიდნენ რუმინეთის ტერიტორიაზე. ჩერჩილის იდეა ხმელთაშუაზღვის რაიონებიდან დესანტის გადასხდომისა და ბალკანეთში შეჭრის შესახებ საბოლოოდ ჩაიშალა. მაშინ, როდესაც, ჩვენს ჯარებს არც ისე დიდი ტერიტორიის გადავლა სჭირდებოდათ, რომ იუგოსლავიის საზღვრებამდე მიეღწიათ. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მოკავშირეებს, განსაკუთრებით ინგლისს, სულ უხდებოდათ, შეეცვალათ პოლიტიკა იუგოსლაველ პარტიზანებთან დაკავშირებით, თუმცა სწორედ პაპტიზანული მოძრაობა, როგორც იტყვიან, თვალში ეკალივით ესობოდათ მათ. 25 მაისის დილით მე დრვარის რაიონში მთებში განთავსებული ჩვენი რადიოსადგურის უფროსის დეპეშა მივიღე. მასში იტყობინებოდნენ, რომ ხდება გერმანული დესანტის გადმოსხმა დრვარზე, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს“ (ა. გოლოვანოვი).

და მოხდა აი რა: იუგოსლაველი პარტიზანების ხელმძღვანელობის ლიკვიდაციის მიზნით სარდლობამ მოულოდნელად განახორციელა ოპერაცია, რომელიც ძალიან ჰგავდა ავანტიურას. ოპერაციამ მარშალ იოსიპ ბროზ ტიტოს ხელში ჩაგდების შესახებ მიიღო კოდური სახელწოდება „სვლა მხედრით“. მისი განხორციელება გერმანელებმა 1944 წლის 25 მაისისთვის დანიშნეს. ეს ტიტოს დაბადების დღე იყო. თარიღის შერჩევაში არ განიხილება გერმანელთა თავისებური იუმორის გრძნობა, არამედ ეს იყო მარტივი სურვილი მოულოდნელად დასხმოდნენ მას თავს. დღესასწაულია, ქეიფი, ყურადღების გაფანტვა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა თავის შეტევას ყველა ქვეყანაზე ჰიტლერი ყოველთვის კვირა დღეს აწარმოებდა. როდესაც სიფხიზლე დუნდებოდა, მეთაურები კი არ იყვნენ ადგილზე, არამედ ისვენებდნენ ოჯახთან ერთად. დანიშნულ დღეს „ესესელთა“ ჯარების პარაშუტისტთა სპეციალური მე-500 ბატალიონის პარაშუტისტები ციდან ჩამოეშვნენ ადრეული დილით. და გასაოცარი საქმე — პირდაპირ გამოქვაბულის შესასვლელთან, სადაც ტიტოს შტაბი იყო. მათთან ერთად დაეშვნენ პლანერებიც. ესესელთა ამოცანა უკიდურესად რთული იყო: „...საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, ათას კაცზე ოდნავ ნაკლები ოდენობით, უნდა გადმომსხდარიყო მარშალ ტიტოს შტაბის ცხვირწინ მთიანი რაიონის ცენტრში, რომელიც დაკავებული ჰქონდა უზარმაზარ პარტიზანულ არმიას — მის შემადგენლობაში მაშინ 10 ათასზე მეტი მებრძოლი და მეთაური იყო, თანაც საკმაოდ კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი“.

და რატომ იყვნენ გერმანელები დარწმუნებული, რომ ტიტო სწორედ ამ გამოქვაბულში იმყოფებოდა? საიდან იცოდნენ მათ, სად იყო შტაბი? მიუხედავად იმისა, რომ ესესელთა ოპერაცია სრული კრახით დამთავრდა, მისი განხორციელების შემდეგ შეკითხვა

ბ. ტიტო

ძალიან ბევრი გაჩნდა. ტიტო გაიპარა, გერმანელებმა შეძლეს, ხელში ჩაეგდოთ მხოლოდ მისი საზეიმო კიტელი. ბევრი კითხვა გაუჩნდა ამხანაგ სტალინსაც, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სიტუაციას. სასწრაფოდ პირველ მომენტში უკანდახეული პარტიზანები არ ავრცელებდნენ არანაირ ცნობებს.

„ამის შესახებ სტალინს მოვახსენე მე პირადად, — წერს გოლოვანოვი, — ვინაიდან მანამდე მან რამდენჯერმე დამირეკა, მეკითხებოდა, თუ მივიღეთ რაიმე ახალი ცნობა, დაბოლოს, მომცა დავალება, ასეთი ცნობების მიღების შემდეგ ჩავსულიყავი და პირადად მომეხსენებინა მისთვის.

— ეტყობა, თქვენს მიერ მიღებული ცნობები სწორია და მდგომარეობა იქ სერიოზულია. — თქვა სტალინმა. — ჩვენი ამხანაგები ვერც ერთი არხით ვერ ახერხებენ ტიტოს შტაბთან დაკავშირებას. ეს შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ სტალინმა, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, თქვა:

— მინდოდა, გამეგო, ვისი საქმეა ეს? ეტყობა, შვილები დროს ამაოდ არ კარგავენ“.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156, 157-159

ასეთი სახალხო ზეიმიც დიდი საქმეა!

გასულ წელს ელიის მთიდან მოწყვეტილმა ლოდმა ილია თეზბიტელის სახელობის მე-6 საუკუნის ნაფუძვარზე აღდგენილი ტაძრის შესასვლელი დააზიანა და ჩახერგა. შეწყდა ტაძრის ფუნქციონირება, აიკრძალა ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტების და მრევლის მოძრაობა. დედოფლისწყაროს ხელმძღვანელების, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის და საპატრიარქოს ძალისხმევით ჩატარდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები და ეკლესიაში განახლდა წირვა-ლოცვა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით სადღესასწაულო წირვა აღავლინა მამა პანტელეიმონმა. ელიაობის და „დედოფლისწყაროობის“ სახალხო ზეიმს ბევრი ცნობილი ადამიანი დაესწრო.

მართლაც ულამაზესი სანახავი იყო ღამის წყვდიადში თაფლის სანთლებით განათებული ელიის მთა, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ უცხოელი ტურისტები და თბილისიდან სპეციალურად მოწვეული სტუმრები: პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი,** სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მხატვარი **ჯემალ კუხალაშვილი,** მისი მეუღლე ცნობილი პოეტი, ჩვენი რაიონის მკვიდრი **მარინა ცხვედიაშვილი,** მათი შვილი, ახალგაზრდა ფერმწერი **გიორგი კუხალაშვილი** და სხვები.

სახალხო ზეიმი „დედოფლისწყაროობა“ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადაღებული ფილმის „თავგანწირვის ტაძრის“ ჩვენებით დაიწყო, რეჟისორი გახლავთ ბოდბისხეველი **ლექსო გელაშვილი,** რედაქტორი — არბოშიკელი **ზვიად სეხნიაშვილი,** რომლებიც ხშირად აწყობენ ახალი ფილმების წარდგინებას საქართველოს მასშტაბით.

გამგეობის წინ სპეციალურად დამონტაჟებულ სცენაზე გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი **„ხორნაბუჯი“,** თბილისიდან სპეციალურად მოწვეული ცნობილი ახალგაზრდა მომღერლები **მარიტა როხვაძე** და **თამუნა გომართელი,** რომელიც ამავდროულად „დედოფლისწყაროობის“ სახალხო ზეიმის ბრწყინვალე წამყვანი გახლდათ და ფოლკლორული ჯგუფი **„ბანი“,** რომლებიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობენ მუსიკის თაყვანისმცემლებში.

სახალხო ზეიმი მოსახლეობას და ჩამოსულ სტუმრებს მიულოცა კახეთის გუბერნატორმა **ირაკლი ქადაგიშვილმა,** სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა, რომლის ინიციატივით ამ ხუთი წლის წინათ პირველად აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი სახალხო ზეიმი ელიაობა და დედოფლისწყაროობა — **ირაკლი შიოლაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **ნუგზარ პაპიაშვილმა,** გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა,** „ნაღდმა დედოფლისწყაროელმა“ **გოჩა ტყეშელაშვილმა,** მათ ასევე მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის დირექტორს, სახალხო ზეიმის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს **ნონა ჯიბღაშვილს,** ასევე გამგეობის კულტურის სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად დიდებული სახალხო ზეიმი მოეწყო.

აქვე მოეწყო წარმატებული დედოფლისწყაროელების და საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვების ცერემონიალი. წარმატებული დედოფლისწყაროელის წოდება მიენიჭათ ასევე და სპეციალური სიგელები გადაეცათ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულ ახალგაზრდა სპორტსმენებს და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ოქროს და ვერცხლის მედლის მფლობელ წარჩინებულ კურსდამთავრებულებს.

სახალხო ზეიმი „ბანის“ გულში ჩამწვდომი ჰანგებისა და ულამაზესი ფეიერვერკებით დასრულდა.

ნანა ჭიჭინაძე,
დედოფლისწყარო-თბილისი

ბარათების შეცვლილი ბეჭედი

მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი საერთო ნიშანი, უდავოდ, ხალხის საფულეებში აუარება სხვადასხვა დანიშნულების პლასტიკური ბარათია. დღესდღეობით თითოეულ მათგანს გამოყენების ზუსტად განსაზღვრული ადრესატი ჰყავს — აფთიაქი იქნება ეს, სურსათის თუ საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია, გარკვეული სახის ტრანსპორტი, ბანკი თუ სხვა. ამდენად, თანდათანობით იკვეთება ამ პლასტიკური მრავალფეროვნების შესაძლებლობისდაგვარად შემცირების აუცილებლობა, ბარათების უნიფიცირება და რაღაცნაირად სახეცვლაც კი. როგორც ჩანს, ამ მიზნის ნაწილობრივ მიღწევა შეძლეს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც რამდენიმე სახეობის პლასტიკური ბარათის ფუნქციის შემსრულებელი „გონიერი“ რგოლები შექმნეს.

„გონიერი“ ბეჭდის შექმნის იდეა თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთ ჯგუფს ეკუთვნის, აღნიშნული პროექტის ავტორები **გიორგი მიქაცაძე, კობა ცერცვაძე, ნიკა ჩხარტიშვილი, ნინი რაზმაძე** და **დავით კვიციანი** არიან. საქმე კი ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტის შენობაში, ისევე, როგორც მრავალ სხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ დაწესებულებაში შესასვლელად საშვია საჭირო. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს რაღაც ისეთის მოფიქრება, რაც საშვის დაკარგვის ალბათობასაც შეამცირებდა, თან რაღაც სხვა ფუნქციების შეთავსების შესაძლებლობასაც შექმნიდა. ასე გაჩნდა პირველი „გონიერი“ ბეჭედი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ საუნივერსიტეტო საშვის როლს ასრულებდა, მაგრამ შემდეგ სხვა ფუნქციებიც დაემატა. ამ ჩანაფიქრის არსი კი მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ბარათების ტარების აუცილებლობისგან მომხმარებელთა გათავისუფლება იყო. ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში კი, რის გაკეთება პლასტიკური ბარათის „დათესვაზე“ გაცილებით ძნელია, მისი უმალ დაბლოკვაა შესაძლებელი.

„გონიერი“ ბეჭდის უდავო ღირსება ისაა, რომ ის, ფაქტობრივად, მფლობელის შესახებ უამრავი ინფორმაციის შემცველ ჩიპს წარმოადგენს, რომელზეც როგორიც გნებავთ ინფორმაციის დატანა შეიძლება. ვთქვათ, პირველადი სამედიცინო ცნობების, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი, პირადი და სხვა სახეობის მონაცემთა განთავსება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „გონიერ“ ბეჭედში შესაძლებელია როგორც ახალ მონაცემთა შეტანა, ასევე ძველის განახლება, რისთვისაც „ანდროიდის“ გაჯეტებში დამატება „კნიკი“ გამოიყენება, რომელიც ახალ ქართულ ბრენდს წარმოდაგენს. ამ ხის ბეჭდების უდავო ღირსება ასევე ისაა, რომ ისინი საკმაოდ მტკიცე და წყალგაუმტარია, მათი სხვადასხვანაირი შეფერილობა ერთნაირად მიმზიდველია როგორც ჭაბუკებისთვის, ასევე ქალიშვილებისთვის, თანაც საკუთარი გემოვნებისდა მიხედვით არჩევის შესაძლებლობას აძლევს მათ.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახლო მომავალში, როგორც კი პროექტის ავტორები სათანადო ლიცენზიას მიიღებენ, „გონიერი“ ბეჭდები, რომლებსაც, სხვათა შორის, დატენვა არ სჭირდებათ, ახალ, საბანკო ბარათის ფუნქციასაც შეიძენენ. საკითხის ტექნიკური გადაწყვეტა ახალგაზრდებს უკვე მოფიქრებული აქვთ.

ვინაიდან „გონიერი“ ბეჭედი გაჯეტების ბაზარზე სიახლეა, მომხმარებლებს მის ათვისებაში გამომგონებელთა ჯგუფი სრული შემადგენლობით ეხმარება, რომლებსაც კიდევ ხეზე კვეთის სპეციალისტები და დიზაინერები შეუერთდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ „კნიკის“ ბეჭდების შემქმნელები ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს „საქართველოს სტარტაპის“ კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ, რის შედეგად სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერა და დარგის წამყვან სპეციალისტთა რჩევები მიიღეს. გამოგონებასთან დაკავშირებით სტუდენტებს დიდი გეგმები აქვთ — თავიანთი პროდუქციით ბაზრის ათვისებას ისინი ჯერ საქართველოში გეგმავენ (ბეჭდები ამჟამად „კნიკის“ საიტზე იყიდება), შემდგომ კი მის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანასაც აპირებენ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ სოციალური ყოფა

შუამავალი რგოლის ფასი

რუსთავში ხილბოსტნეული იყიდება ყველგან: ბაზრებში, სუპერმარკეტებში, პირდაპირ ტროტუარებზე და ეზოებშიც.

ხილბოსტნეული რუსთავის სუპერმარკეტებში, ბაზართან შედარებით, ძვირია. თუ, მაგალითად, ბაზარში ერთი კილოგრამი პომიდორი საშუალოდ 60-80 თეთრი ღირს, დიდ სავაჭრო ობიექტებში მისი ფასი 10-15 თეთრით მეტია. შედარებით ძვირია კიტრი — მისი ფასი პომიდვრის ფასს 10-20 თეთრით აღემატება. იაფია ატამი და ვაშლატამა — მათი ფასი 50-დან 60 თეთრამდე მერყეობს, თუმცა უფრო იაფად ეზო-ეზო მოძრავი მანქანებიდან ვაჭრობენ — სამი კილოგრამი ნაკლებხარისხიანი ატამი შეიძლება ლარადაც იყიდოთ.

ბანკის თანამშრომელს **ჯიმშერ მაღრაძეს** იმ დროს გავესაუბრეთ, როცა ის, შესვენებაზე გამოსული, ბანკის შენობის უკან ბოსტნეულით მოვაჭრე ქალებთან კიტრსა და პომიდორს ყიდულობდა. ნავაჭრში გადახდილი თანხა და პროდუქტის ხარისხიც მისთვის მისაღები აღმოჩნდა.

რუსთავის სავაჭრო ობიექტები ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი და ქვემო ქართლის სოფლებში მოყვანილი ხილბოსტნეულით მარაგდება. დავით ქიმაძემ, მარნეულის სოფელ საიმერლოდან, წელს გათვლა კიტრზე გააკეთა და, როგორც ამბობს, არ შემცდარა. **დავით ქიმაძე** ამბობს, რომ მისი პროდუქტი დიდი ქალაქების სავაჭრო დახლებზე დისტრიბუტორების საშუალებით ხვდება — პროდუქტს საკუთარი სათბურებიდან ყიდის, მაგრამ ამონაგები არც ისე დიდია. ბაზრის მოთამაშეები მწარმოებლებს საკუთარ პირობებს უყენებენ, ამიტომ ქიმაძეც იძულებულია თამაშის წესებს დაემორჩილოს. იგი ამბობს, რომ ფინანსური შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, ხილ-კენკროვანი კულტურების მოყვანაზე გადაერთვებოდა, რადგან ის მარნეულში ცოტა ვინმეს თუ მოჰყავს, თუმცა ქიმაძე აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ხილის მოყვანა სარისკო საქმეა, რადგან მარნეულის ერთადერთი გადამმუშავებელი საწარმო გლეხებისგან პროდუქტს მხოლოდ სეზონის ბოლოს იბარებს.

თორნიკე მებურიშვილი რუსთავში ხილბოსტნეულის მცირე სავაჭრო ობიექტის მფლობელია. იგი ამბობს, რომ საქმე წამგებიანია, რადგან პროდუქტის ფასი მაღალია, მოსახლეობას კი შემოსავალი არა აქვს. თორნიკე მებურიშვილის თქმით, პროდუქტს აძვირებს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი რგოლი — იქნება ეს დისტრიბუცია, საბითუმო ვაჭრობა თუ ტრანსპორტის ხარჯები. თორნიკე მებურიშვილის თქმით, მწარმოებლები ხშირად უკმაყოფილონი არიან ქალაქის ბაზრებით, სადაც, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზებით გადამყიდველები არიან დაკავებულნი. თორნიკე მებურიშვილის აზრით, საჭიროა კარგად აწყობილი ლოჯისტიკის ცენტრების შექმნა, სასაწყობო მეურნეობით და, თუ გნებავთ, ღია ბირჟით. იგი ფიქრობს, რომ ამ სისტემით გლეხიდან მომხმარებლამდე პროდუქტი გაცილებით დაბალი ფასნამატით მივა.

დავით მჭედლიძე,
რუსთავი

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინის პასპორტით ჩაფრინდა შეერთებული შტატებიდან პოლონეთში და აპირებს ევროპის სხვა ქვეყნებში ჩასვლასაც, ვიდრე უკრაინაში დაბრუნებას შეძლებს. „რადიო თავისუფლების“ რუსული სამსახურის კორესპონდენტ ალექსეი ძიკოვიცკისთან ვარშავაში ჩაწერილ ინტერვიუში ის ასევე ამბობს, რომ სხვა ქვეყნის პასპორტი არა აქვს.

„ამერიკიდან გამოვემგზავრე უკრაინის პასპორტით და პოლონეთში შემოვედი უკრაინის პასპორტით. როგორც ჩანს, ყველა ქვეყანა მაშინვე არ ცნობს იმათ ახირებებს, ვინც უცებ გადაწყვიტა საბჭოთა დიქტატორული მეთოდებით მოქმედება. სულ ეს არის“, — ამბობს სააკაშვილი. ის „საბჭოთა დიქტატორულ მეთოდებში“ ადანაშაულებს კაცს, რომელმაც ის ჯერ თავის მრჩევლად დანიშნა, შემდეგ კი ოდესის გუბერნატორად. პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილებას მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ სააკაშვილი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს და მთავარ მიზნად ასახელებს უკრაინის სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვას.

„ჩემი პოლიტიკური გეგმები მხოლოდ უკრაინასთან არის დაკავშირებული ახლა, ამ ეტაპზე. რასაკვირველია, არც საქართველო მავიწყდება, მაგრამ საქართველო არასოდეს იქნება წარმატებული, თუ უკრაინა გარღვევას ვერ მიაღწევს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩემი გეგმები უკავშირდება უკრაინას. ვფიქრობ, რომ უსამართლობა მოხდა! მე უნდა დავბრუნდე, სასამართლოში დავიცვა ჩემი უფლებები. ჩემთვის ეს არის მთავარი! მე ახლა ევროპაში ვმოგზაურობ, შევხვდები პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, პოლიტოლოგებს, მაგრამ, მთლიანობაში, ჩემი მიზანი არ არის მათთან უკრაინაზე საუბარი. უკრაინაში ვითარებაზე საკუთრივ უკრაინაში ვისაუბრებ. ჩემი მიზანია, მივიღო სასამართლოში მისვლის უფლება“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ!

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გეგმავს ოდესის ყოფილ გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში უკრაინის პასპორტი ჩამოართვას და ის ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეუშვას, — განცხადებას ამის შესახებ უწყების ხელმძღვანელის პირველი მოადგილე ვლადიმერ სერვატიუკი აკეთებს. მისივე განცხადებით, პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ, რომელმაც სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა, სააკაშვილის უკრაინის პასპორტი მოქმედი აღარაა, შესაბამისად სააკაშვილს საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას ჩამოერთმევა.

6 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 1 760 ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

ᲨᲡᲡ-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წლის 6 თვეში საქართველოში 1760 მოქალაქის დეპორტაცია მოხდა. მონაცემების მიხედვით, 6 თვეში ყველაზე მეტი, საქართველოს 874 მოქალაქის დეპორტაცია თურქეთიდან განხორციელდა. 206 მოქალაქის დეპორტაცია მოხდა გერმანიიდან, ხოლო ისრაელიდან — 200.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს 78 მოქალაქის დეპორტაცია რუსეთიდან, 56-ის — საფრანგეთიდან, ხოლო 37-ის საბერძნეთიდან განხორციელდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ 2 922 ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲔᲗᲥᲕᲐ

ᲨᲡᲡ-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წლის 6 თვეში საქართველოში შემოსვლაზე უარი 2 922 მოქალაქეს ეთქვა. ამავე სტატისტიკის მიხედვით, საზღვარზე 6 თვეში სულ 7631 სამართალდარღვევა დაფიქსირდა.

როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, საქართველოში შემოსვლაზე უარი ყველაზე მეტჯერ ინდოეთის მოქალაქეებს ეთქვა და ამ მაჩვენებელმა 571 შედგინა, შემდეგ მოდის თურქეთი — 492; აზერბაიჯანი — 418; რუსეთი — 230, სირია — 175 და უზბეკეთი — 171. ყველაზე მეტი სამართალდარღვევა საქართველოში შემოსვლაზე უარს ეხება. შემდეგ მოდის დეპორტაცია, სავიზო რეჟიმის და სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა.

◎ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲑᲐ

„ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ“ ᲛᲔᲜᲘᲣ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ერთხმად აცხადებენ: ხანდაზმულ ასაკში კვება არა მარტო ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენს ვიცოცხლებთ, არამედ იმაზეც, თუ როგორ გავატარებთ ამ წლებს.

უფროს ასაკში კვების უმთავრესი წესია ჭარბი კალორიების მოხმარებისთვის თავის არიდება. დადასტურებულია, რომ დაბალკალორიული კვება, რომელიც რაციონში ცხიმიანი საჭმლისა და ტკბილეულის მნიშვნელოვან შემცირებას და, ამავდროულად, ცილისა და ბოსტნეულის ოდენობის მომატებას ითვალისწინებს, აძლიერებს ორგანიზმის ძალებს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში **(ეს ის „დამპყრობი“ მოლეკულებია, რომლებიც უჯრედებს უტევენ და აზიანებენ — რედ.)**. ეს კი, თავის მხრივ, სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

50 წელს გადაცილებული სხეულის ნორმალური მასის მქონე კაცის საშუალო რაციონი 1800-1900 კილოკალორიას უნდა შეადგენდეს, ჭარბი მასის მქონესი კი — 1500 კილოკალორიას.

ამასთან, კვება უნდა იყოს არა ერთფეროვანი, არამედ დაბალანსებული. **უწინარესად კი, ყურადღება უნდა მიაქციოთ რაციონში ცილების ოდენობას, რადგან უფროს ასაკში ორგანიზმი სწორედ მათ ნაკლებობას განიცდის.**

ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ - ᲗᲔᲕᲖᲘ

● ხორცზე უფრო მეტად სასარგებლოა ნაკლებად ცხიმიანი თევზი და რძის ნაწარმი. ცოტა ცხიმი აქვს მდინარის თევზს — კობრს, ქარიყლაპიას, ფარგას, ზღვის თევზებიდან კი — ვირთევზას, ხეკს, მინტაის, ნავაგას.

● ხორცისა და თევზის ბულიონები უნდა მიირთვათ კვირაში ორ-სამჯერ, სხვა დღეებში კი მენიუში ვეგეტარიანული წვნიანები უნდა გქონდეთ.

● მეორე კერძების მასალად ხორცი, თევზი ან ფრინველი გამოიყენეთ, უმჯობესია, ის მოხარშოთ ან მოთუშოთ. შეგიძლიათ კვირაში ორ-სამჯერ მაგრად მოხარშული კვერცხი, ანდა ომლეტი მიირთვათ, უმჯობესია ცილისა.

● ცილის დღეღამური ნორმა რძის ნაწარმიდან უნდა მიიღოთ, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის მიერ საკმარისი ოდენობით კალციუმის მიღებას, რომელიც აუცილებელია ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის.

ᲐᲡᲐᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

50 წელს გადაცილებულ ქალბატონთა კვება, რომლებსაც სქესობრივი ჰორმონების აქტივობა უქვეითდებათ, რასაც არა მარტო ოსტეოპოროზის განვითარების საფრთხე, არამედ გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, გასუქება და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის წარმოშობის საფრთხე ახლავს, განსაკუთრებული საუბრის თემაა.

● ასაკოვან ქალბატონთა მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს უცხიმო ხაჭო, რომელიც მათ ყოველდღიურად არანაკლებ 100 გრამისა უნდა მიირთვან. ასევე დიდად სასარგებლოა 20 პროცენტზე ნაკლებად ცხიმიანი უმარილო ყველი მცირე (30-50 გრ-ის) ოდენობით.

● ასევე რეკომენდებულია ყოველდღე 200 გრ მაწვნის ან კეფირის მირთმევა, უმჯობესია, საღამოს, ძილის წინ.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი სენია გულისა და სისხლძარღვების დაავადებები, რომელთაგან თავის არიდების გზა ქოლესტერინის შემცველი სურსათის მოხმარებაზე უარის თქმაა. ესენია: ღვიძლი, თირკმლები, ტვინი, ცხიმიანი თევზი, ხიზილალა, კვერცხის გული, აგრეთვე ცხოველური ცხიმები. გახსოვდეთ: **რაც უფრო ნაკლებია ცხიმი, მით უკეთესი.** გამონაკლისს მხოლოდ ცხიმიანი ზღვის თევზები — სკუმბრია, სარდინა, ზუთხი, პალტუსი, ქაშაყი, ივასი წარმოადგენენ. ზღვის თევზი კვირაში 300-400 გრ. უმჯობესია, მოხრაკული, ან კონსერვის სახით მიირთვათ. თევზივით პოლიგაჯერებულ ცხიმის მჟავებს, ასევე შეიცავენ მცენარეული — მზესუმზირის, ზეითუნის, სიმინდის, ბამბის, სოიოს, რაფსის ზეთები, თუმცა დღეში ერთ სუფრის კოვზზე მეტის მოხმარება სასურველი არ არის.

ᲣᲛᲐᲠᲘᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲥᲠᲝᲓ

მოხმარებული სუფრის მარილის ოდენობა დღეში 1 ჩაის კოვზს არ უნდა აჭარბებდეს. ქაშაყი, მწნილი, სოკო ხელს უწყობს არტერიული წნევის აწევას, ორგანიზმში სითხის დამაგრებას, ართულებს გულის მუშაობას. სამაგიეროდ, რეკომენდებულია ხამანწკების, კალმარის ხორცის, ზღვის კომბოსტოს ჭამა, რომლებიც იოდსა და გეპარინის მსგავს ნივთიერებებს შეიცავენ, დადებითად მოქმედებენ ცხიმის მიმოცვლასა და სისხლის შედედების უნარზე.

უნდა მიირთვათ მეტი ბოსტნეული და ხილი, რომლებიც უჯროვანას წყაროს წარმოადგენენ, რაც აუცილებელია ღვიძლის, ნაღვლის გამომყვანი სადენების, კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობისთვის, დიაბეტის პროფილაქტიკისთვის.

და გახსოვდეთ: **სწორად კვების სწავლა ნებისმიერ ასაკში შეიძლება.**

მოამზადა
ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲛ

◎ სამშობლო გულში იხუტებს...

ზაზა ფაჩულია:

ამ თასით ისე ვერ ვამაყობ, როგორც ომში დაღუპული მებრძოლებით!..

ეროვნული **საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, დაპირებისამებრ, სპორტის სასახლეში NBA-ს ჩემპიონის თასი ქართველ გულშემატკივარს წარუდგინა. დასაწყისში „გოლდენ სტეიტის“ ცენტრმა თავისი განვლილი კარიერა გაიხსენა და თითოეულ მწვრთნელს მადლობა გადაუხადა, ასევე, იმ კალათბურთელებს, რომლებიც ზაზასთან ერთად ირჯებოდნენ და ირჯებიან დღემდე როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე.**

33 წლის კალათბურთელმა სპორტის სასახლეში შეკრებილ აუდიტორიას გაუმხილა, რომ კალათბურთი დედამ – მარინა კოდუამ შეაყვარა, რომელიც ასევე კალათბურთელი გახლდათ და აღნიშნა, რომ მის განვითარებაში მშობელმა დიდი წვლილი შეიტანა.

ზაზამ თავიდან 2008 წლის აგვისტოს ომი გაიხსენა და ის მეომრები მოიგონა, რომლებიც რუსეთთან ბრძოლას შეეწირნენ.

„დიდი მადლობა მობრძანებისთვის. ალბათ, მეტყობა, რომ ვღელავ და ეს ბუნებრივია. მინდა გავიხსენო 2008 წლის აგვისტო და ომში დაღუპული მეომრები მოვიგონო. ამ თასით ისე ვერ ვამაყობ, როგორც იმ ბიჭებით, რომლებიც ჩვენ ქვეყანას იცავდნენ.

დაუღალავი შრომისა და ბევრი მოგების შემდეგ 12 ივნისს ჩვენ ჩემპიონები გავხდით. მივიღე ეს თასი და ყველაფერი დამავიწყდა, მხოლოდ ის მახსოვდა, რომ მე ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონი და მივხვდი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ. ამ თასს ვერავინ ვერ წამართმევს. ეს თასი არის ჩვენი, ქართველების. თქვენი გულშემატკივრობის გარეშე ეს ყველაფერი არ მოხდებოდა და არ მინდა იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ წლევანდელი ამბავია. ეს ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც პირველად მივედი 9 წლის ასაკში ზურა სამხარაძესთან“.

„მე თქვენთან მოვედი პატარა ბავშვი, დიდი ყურებით (იღიმის). თქვენ მასწავლეთ მე ყველაფერი. ჩვენ ერთად 5 წლის განმავლობაში ავაშენეთ ის ფუნდამენტი, რომელიც დღემდე მომყვება“, – თქვა ზაზამ. მანვე მადლიერებით მოიხსენია ნუგზარ ჭეიშვილი, გელა წულაძე, ნიკო ჩერქეზიშვილი და დუდუ დადიანი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მთავრობის წევრებიც: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანია, მერობის კანდიდატი კახი კალაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი.

გიორგი კვირიკაშვილმა ზაზას ეს დიდი წარმატება მიულოცა და დამდეგ ევრობასკეტზე წარმატება უსურვა.

„მადლობა ამ სიხარულისთვის, იმ დამოკიდებულებისათვის, რომელსაც ვგრძნობთ თითოეული შენი წარმატების შემდეგ. შენ ყველა წარმატებას უძღვნი შენს სამშობლოს. შენი წარმატება არის უდიდესი შთამაგონებელი ძალა საქართველოსთვის, განსაკუთრებით – ბავშვებისთვის. ეს პირადი მაგალითი უნდა გახდეს ყველასთვის. ყველაზე დიდი და კონკურენტული ლიგის ჩემპიონობა ქართველისთვის უკვე ფაქტია. ამას წინ უძღოდა უდიდესი შრომა, მიზანმიმართულობა და ჩვენს მიერ გატეხილი მრავალი ღამე შენი წარმატების მოლოდინში. ყველას გვახსოვს 129:120 „კლივლენდთან“, რომლის შემდეგაც ქართული დროშა აფრიალდა „გოლდენ სტეიტის“ დარბაზში. საქართველო არის ახალი წარმატებების მოლოდინში როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ევრობასკეტზე დიდ წარმატებას მიაღწევთ“, – განაცხადა პრემიერმა.

გილოცავთ, ზაზა! – ასე ქართულად დაიწყო თავისი სიტყვა ამერიკის ელჩმა საქართველოში იან კელიმ. მან ზაზას მადლობა გადაუხადა საქართველოს ნაკრებსა და „გოლდენ სტეიტში“ ჩადებული შრომისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ საქართველოში ეს ულამაზესი თასი ჩამოიტანა: **„თქვენ უჩვენეთ ქართველებს, რომ შეგიძლია მიაღწიო იმას, რაც თქვენ გააკეთეთ და თუ როგორ უნდა იყო წარმატებული. მადლობა, რომ ამ ყველაფერს აკეთებ შენი ქვეყნისათვის და ასევე ამერიკისთვის. მადლობა, რომ ხარ ზაზა“,** – დასძინა იან კელიმ.

ზაზას გუნდურად მიულოცა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყველა წევრმა, თორნიკე შენგელიამ კი დაამატა, რომ თითოეული ქართველი სპორტსმენის წარმატება საქართველოს წარმატებაა.

„გილოცავ, ძმაო! როგორც შენი, ასევე ჩვენი და მთელი ქვეყნის წარმატებაა ეს. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყველაფერი, რაც პირველად ხდება, მით უმეტეს სპორტში, ძალიან საპატიოა და დიდი წარმატებაა. უნდა ვიამაყოთ ყველამ, რომ დღეს ეს თასი საქართველოში ჩამოვიდა“, – ბიჭების გულისთქმა გამოხატა თორნიკე შენგელიამ.

გარდა ამისა, ფაჩულიას სკაიპით „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ თანაგუნდელებიც გამოეხმაურნენ: დრეიმონდ გრინი, შონ ლივინგსტონი და სტეფ კარი. სამივემ აღნიშნა, რომ მათთვის დიდი პატივია ზაზას გვერდით თამაში და NBA-ს ჩემპიონობა არა მარტო მას, არამედ სრულიად საქართველოს მოულოცეს.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულიამ NBA-ს ჩემპიონის ტიტული 12 ივნისს მოიგო და 6 აგვისტოს თასი საქართველოში ჩამოიტანა. „გოლდენ სტეიტის“ ცენტრი საქართველოს პრეზიდენტისგან კალათბურთის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. რაც შეეხება ნაკრებს – ზაზა გუნდს გუშინ შეუერთდა და 2017 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

კვირკველია საუკეთესოა

საქართველოს **ნაკრების მცველი სოლომონ კვირკველია მოსკოვის „ლოკომოტივის“ ივლისის თვის საუკეთესო ფეხბურთელია – 25 წლის ქართველმა მცველმა კლუბის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვაში ყველაზე მეტი – 7 428 ხმა (43.9%) მიიღო და პირველობა არავის დაუთმო.**

მთლიანობაში გამოკითხვაში 16 910 ადამიანი მონაწილეობდა და კვირკველიამ მცირედით აჯობა პორტუგალიელ მანუელ ფერნანდეშს – 6 628 ხმა (39.2%). მესამე ადგილზე იგორ დენისოვი გავიდა (874 ხმა, 5.1%), ხოლო მეოთხე პოზიციას დიმიტრი ტარასოვი დასჯერდა (850 ხმა, 5%).

სოლომონ კვირკველიამ ივლისში „ლოკომოტივის“ ღირსება 4-ჯერ დაიცვა და პრემიერლიგაში ერთი ბურთიც გაიტანა – ტულის „არსენალთან“ გამარჯვების გოლი. ესეც არ იყოს, ქართველი თავის უშუალო მოვალეობას დიდებულად ართმევს თავს და ამას ისიც ადასტურებს, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში უკვე მესამედ მოხვდა.

130 მილიონი – „წითლებისთვის“

კატალონიის „ბარსელონა“ ნეიმარის შემცვლელს ეძებს და დიდი ხანია „ლივერპულიდან“ ფელიპე კოუტინიოს გადაბირებას ცდილობს.

ბოლო ინფორმაციით, „ბროწეულისფერები“ მზად არიან 25 წლის ბრაზილიელის ტრანსფერში 130 მილიონი ევრო გადახადონ, – იტყობინება გამოცემა „თაიმსი“.

აქამდე „ბარსელონა“ „წითლებს“ ნახევარმცველის სანაცვლოდ 75 მილიონ ევროს სთავაზობდა, თუმცა, ინგლისელებმა უარი განაცხადეს. ბრიტანული გამოცემების ცნობით, თავად ფეხბურთელს ესპანეთში გადასვლა სურს და ლივერპულელთა გადაწყვეტილებას ელოდება.

ფელიპე კოუტინიომ 2013 წლიდან მოყოლებული „ლივერპულის“ შემადგენლობაში 181 შეხვედრა ჩაატარა, მის ანგარიშზე კი 42 გოლი და 37 შედეგიანი გადაცემაა.

მოურინიოს მილიარდი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მურინიო პირველი სპეციალისტი გახდა, რომლის შენაძენებმა კარიერის განმავლობაში 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა.



„სან“-ის ინფორმაციით, 17-წლიან სამწვრთნელო კარიერაში მოურინიოს კლუბებმა ახალ ფეხბურთელთა შესაძენად ჯამში 1,1 მილიონი გაიღეს.

ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა მიუნხენის „ბაიერნის“ მესაჭე კარლო ანჩელოტი, რომლის კლუბებმაც 22 წლის განმავლობაში 970 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯეს.

მესამე ადგილზეა „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი ხოსეპ გვარდიოლა. მისმა კლუბებმა 9 წლის განმავლობაში 859 მილიონის ფეხბურთელები შეიძინეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

რამ დაბოღმა დაიანე სოდრე?

მსოფლიოში **ბოღმიანთა ფესტივალი და კონკურსი რომ გაიმართოს ცნობილი ქართველი მგოსანი, საზოგადო მოღვაწე და „ბოღმოლოგი“ – რეზო ამაშუკელი პირველ ადგილს ძნელად თუ დაიკავებს, რადგან მას ამ კუთხით სერიოზული კონკურენტი ეყოლება ბრაზილიელი მოდელის დაიანე სოდრეს სახით.**

ჭეშმარიტად ზედმეტი ლაყაფი იქნება იმის ახსნა, სამხრეთამერიკელი ლამაზმანები თუ რაოდენ პოპულარულნი არიან მთელს მსოფლიოში და როგორი ბრძოლა აქვთ მათ ერთმანეთში გაჩაღებული ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების თილისმის ტიტულის მოსაპოვებლად. ამ შერკინებაში დაიანეცაა ჩართული, თუმცა, ერთობ უხამს მეთოდებს იყენებს.

დღე ერთია და დაიანე სოდრეს ბოღმების ფრქვევის სურვილი კი ათასი. ეს გოგონა თურმე სულ იმის ცდაშია, როგორ გააკრიტიკოს, დასცინოს და აუგი ილაპარაკოს მის კოლეგებზე და ამ გზით წარმოჩინდეს მათზე უკეთესი. ტან-ფეხი და მკერდი ამ ასულს რომ არ დაეწუნება – ამას ფოტოზეც ხედავთ, მაგრამ ადამიანი რომ ბოღმიანი და ბოროტი დაიბადება, იმას სულ ხელისგულზე ერბოკვერცხი რომ შეუწვათ, მაინც შემოგიტრიალდებათ და შეგაგინებთ...

როსტომ რაჭველიშვილი

კორპორაციული ობლიგაციები საქართველოში

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ საქართველოს ბაზარზე კომუნალური მომსახურების სფეროს ორგანიზაციისთვის უპრეცედენტო მოცულობის — 40 მლნ ლარის — ობლიგაციების კერძო განთავსება წარმატებით განახორციელა, — იუწყებიან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“.

მათივე ინფორმაციით, ლარში ნომინირებული 6-თვიანი ობლიგაციებით მიღებული თანხა კაპიტალურ საინვესტიციო პროექტებს მოხმარდება. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების წლიური სარგებელი ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%-ია. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ გამოცემული ობლიგაციები კომპანია „გალტ&თაგარტმ“ განათავსა. დამატებითი 40 მილიონი ლარის რესურსი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარებასა და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

GWP-ი ფასიანი ქაღალდების ემისიას უკვე მეოთხედ ახორციელებს. პირველად 2.6 მლნ ლარის ობლიგაციები კომპანიამ 2015 წლის აგვისტოში გამოუშვა. იმავე წლის 10 დეკემბერს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ 6 მლნ ლარის, ხოლო მესამედ 2016 წლის 7 დეკემბერს 30 მლნ ლარის ობლიგაციები განათავსა.

ამ ფონზე საინტერესოა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებამდე ერთი დღით ადრე ეროვნულმა ბანკმა კორპორაციულ ობლიგაციებში ინვესტირების მსურველებისათვის გაფრთხილება გამოაქვეყნა. როგორც ეროვნული ბანკის განცხადებაშია აღნიშნული, კორპორაციული ობლიგაციები არ არის უზრუნველყოფილი არც სახელმწიფოს და არც ეროვნული ბანკის გარანტიით.

„ინვესტირებული თანხის ძირისა და პროცენტის გადახდა დამოკიდებულია კომპანიის გადახდისუნარიანობაზე. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტრუმენტმა შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულად დაკარგოს საბაზრო ღირებულება. ამიტომ ასეთ ინსტრუმენტებში ფულის დაბანდება ინვესტორის პირად რისკთან არის დაკავშირებული და შესაბამის სიფრთხილესა და ანალიზს საჭიროებს.

თუკი კორპორაციულ ობლიგაციაში ინვესტირებას გადაწყვეტთ, მხოლოდ დაპირებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღება არ არის საკმარისი — აუცილებლად უნდა დაფიქრდეთ ინვესტიციასთან დაკავშირებულ რისკებზეც. ეს რისკები ძირითადად ჩამოთვლილი და განხილული უნდა იყოს ობლიგაციების ემისიის პროსპექტში. ემიტენტი კომპანია და კომპანიის სახელით ობლიგაციების გაყიდვით დაკავებული ბროკერი ვალდებული არიან ობლიგაციის შესყიდვით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდონ ამ პროსპექტის ასლი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი აფრთხილებს კორპორაციულ ობლიგაციებში ინვესტირების მსურველებს, გადაწყვეტილების მიღებისას განახორციელონ შემდეგი ნაბიჯები: მოითხოვონ პროსპექტის ასლი (არ მოახდინოთ ინვესტირება, თუ არ მიგიღიათ პროსპექტის ასლი); დეტალურად განიხილონ ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკი (თუ კარგად არ გესმით რისკის ფაქტორები, გაიარეთ კონსულტაცია პროფესიონალთან, უმჯობესია, ნეიტრალურ მესამე პირთან); უარი თქვან ინვესტიციის განხორციელებაზე, თუ ვერ მოხერხდა რისკების ადეკვატურად შეფასება.

დაბოლოს, როგორც წესი, მაღალი შემოსავლის მქონე ინვესტიცია ნიშნავს მაღალ რისკს, თუმცა მაღალი რისკის მქონე ინვესტიციას ყოველთვის შესაბამისად მაღალი შემოსავლიანობა შეიძლება არ ჰქონდეს. ამიტომ, შეპირებული საპროცენტო განაკვეთის მიუხედავად, პოტენციურმა ინვესტორმა უნდა შეისწავლოს პროსპექტში გაშლილი რისკის ფაქტორები და მოიძიოს დახმარება პროფესიონალისგან. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ლიცენზირებული ბროკერის ნაცვლად პირდაპირ კომპანიის მიერ გაკეთებული შემოთავაზების შემთხვევაში ინვესტირებისას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის ეს განცხადება პოტენციურ ინვესტორთა ინტერესების დაცვისკენაა მიმართული, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, არასასიკეთოდ აისახოს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების შექმნის პერსპექტივაზე, რაც არცთუ უმნიშვნელო თემაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

ნინო ევგენიძე

GEM FEST-ის ტერიტორიაზე ცოლ-ქმარი დააკავეს

ანაკლიაში, GEM Fest-ის ტერიტორიაზე შესაძლო ნარკოდანაშაულისთვის ირანელი ცოლ-ქმარი დააკავეს. პოლიციამ ქალი გაათავისუფლა, ხოლო მამაკაცი განყოფილებაში გადაიყვანა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, მამაკაცის ჩხრეკისა და დაკავების ადგილის დათვალიერებისას ამოიღეს აბები, რომლის შემცველობასაც ექსპერტი სწავლობს.

დაკავების პროცედურა რამდენიმე მოქალაქემ გააპროტესტა. ისინი ჩხრეკის პროცესზე დასწრებას უშედეგოდ ითხოვდნენ.

პოლიცია მოქალაქეებს უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მისვლას უკრძალავდა იმ მოტივით, რომ ნივთმტკიცებები, შესაძლოა, განადგურებულიყო.

ქარელში შუახნის ქალმა 45 წლის ქალს 30-მდე ჭრილობა მიაყენა

ქარელში, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე 50-წლამდე ქალი 45 წლის ქალს თავს დაესხა. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იბერია“ ავრცელებს.

დაზარალებულის თქმით, მისთვის უცნობი პირი ე.წ. სუფრის დანით მასთან მივარდა და 30-მდე ჭრილობა სახეზე, კიდურებსა და ტანზე მიაყენა.

„ქალი მოვარდა დანით ხელში. სულ დამსერა მთელს სხეულზე. მეზობლებს, რომ არ გადავერჩინე, ალბათ, მომკლავდა“, — აღნიშნავს დაზარალებული. ქარელის საავადმყოფოდან დაზარალებული პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ თავისი სურვილით სახლში წავიდა. მომხდარზე გამოძიება 118-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

ბათუმში მოკლული ახალგაზრდების ვინაობა ცნობილია

ბათუმში ნაპოვნი მოკლული ახალგაზრდები მომღერალი გ.ხ. და მოდელი ზ.ს არიან. მათი ცხედრები გუშინ ბათუმში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბინაში იპოვეს. მათ ოჯახის წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

„3 აგვისტოს მოვიდნენ, საცხოვრებელი ბინა მოეწონათ. 4 აგვისტოს შემდეგ არ შევხვედრილვართ. დღეს კი ასეთი ამბავი გავიგეთ. მშობლები რომ შევიდნენ, გარდაცვლილები თავიანთ ოთახებში, საწოლში დახვდათ“, — აცხადებს ბინის მეპატრონე. არსებული ინფორმაციით, ცხედრებს ყელი აქვთ გამოჭრილი, მათ წამების და ძალადობის კვალიც აღენიშნებათ.

სამძიმარი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით უსამძიმრებენ გაზეთის ერთგულ ავტორსა და მეგობარს, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარეს, პროფესორ გვანცა კოპლატაძეს ძმის, უკეთილშობილესი პიროვნების

ბადრი კოპლატაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გამოსათხოვარი

მაგთიკომის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

შალვა კანდელაკიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

შპს „იმეკსის“ ხელმძღვანელობა და თანამშრომლები თანაუგრძნობენ საზოგადოების ფინანსურ დირექტორს, ბატონ რომან გაბისიანს მამის

გივი გაბისიანის

გარდაცვალების გამო.

მძახლები მაია კურცხალია და ავთანდილ ღავთაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნების

გივი გაბისიანის



გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ცოლისძმა დავით ღავთაძე, რძალი ელენე გვაზავა, ცოლისდა თეონა ღავთაძე, ქვისლი გიორგი ჭეჭანი თანაუგრძნობენ რომან გაბისიანსა და თამარ ღავთაძეს მამისა და მამამთილის, კეთილშობილი და სპეტაკი პიროვნების

გივი გაბისიანის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ბატონ ელიზბარ ერისთავს მეუღლის, ქალბატონი

ქეთევან ჩხეიძე-ერისთავის

გარდაცვალების გამო.

„ბუმბას“ პლასტმასის სახელურები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რიცხვს კიდევ ერთი კომპანია, შპს „ბუმბა“ შეემატა, რომელიც პლასტმასის ჭურჭლისთვის სახელურების წარმოებას შეძლებს.

აღნიშნული კომპანია უკვე 20 წელია, პლასტმასის ჭურჭელს აწარმოებს, თუმცა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით კომპანია პროდუქციის ასორტიმენტს გააფართოებს და დამატებით 20 ადამიანს დაასაქმებს.

შპს „ბუმბა“ პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე აპირებს, კერძოდ კი მოლაპარაკებებს აწარმოებს ისეთ მსხვილ კომპანიებთან როგორებიცაა ბორჯომი, სნო და ა.შ.

შპს „ბუმბა“, რომელიც 2018 წლის იანვარში გაიხსნება, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით, კერძოდ კი სალიზინგო პროექტის თანადაფინანსებით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა კი 616 749 ლარს შეადგენს.

შპს ბუმბა

ტრამპის რეიტინგი ეცემა

სოციოლოგიური გამოკითხვა ტელეკომპანია სიენნის დაკვეთით კომპანია ესესარესმა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, თეთრი სახლის ლიდერის მოღვაწეობით კმაყოფილი რესპონდენტთა მხოლოდ 38 პროცენტია. 3 თვის წინ ეს მაჩვენებელი 44 პროცენტს შეადგენდა.

პუტინი ტრამპის სასტუმროზე გამოისახა

მანჰეტენზე სასტუმრო Trump SoHo New York-ის კედელზე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სურათი გამოისახა. როგორც ცნობილია, ეს სასტუმრო პრეზიდენტ ტრამპს ეკუთვნის და მანჰეტენზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებულია.

სურათზე პუტინი რუსეთის დროშის ფონზე დგას და სურათის დაბლა კი წერია ფრაზა- ბედნიერი ვარ, რომ დაგეხმარე, ძმაო, მეორე წარწერა კი რუსულ ენაზეა: („აბა, შენ იცი, „მაო“)

ხალხის ყურადღება ასევე მიიპყრეს სამხედრო ფორმებში გამოწყობილმა ჯარისკაცებმა, ერთ-ერთ მათგანს კი რუსეთის დროშა ეჭირა. გამოცემა Business Insider-მა ეს აქცია ამჟამინდელ გამოძიებას დაუკავშირა, რომელიც ამერიკულ არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევას იკვლევს.



რუსეთის შეზღუდვებს 1 სექტემბრისთვის ვუპასუხებთ!!!

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის განცხადებით კრემლის გადაწყვეტილებას, შეამციროს რუსეთში ამერიკის დიპლომატიური კორპუსი 455 ადამიანამდე აშშ 1 სექტემბრისთვის უპასუხებს, – ამის შესახებ TIME-ი იუწყება. ერთი დღით ადრე, კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი



ლავროვს მანილაში, „ასეან“-ის სამიტის ფარგლებში შეხვდა, სადაც ურთიერთობების დარეგულირების გზებზე იმსჯელეს.

ტილერსონის თქმით, მიუხედავად გარკვეულ საკითხებზე უთანხმოებისა აშშ-მა და რუსეთმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე უნდა იმსჯელონ. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთმა გამოხატა სურვილი, დაიწყოს საუბარი უკრაინის კრიზისის მოგვარების შესახებ.

შეგახსენებთ, მოსკოვმა აშშ-ის დიპლომატიური კორპუსის 755 ადამიანით შემცირების შესახებ გადაწყვეტილება ამერიკის კონგრესის ორივე პალატის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის საპასუხოდ მიიღო, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს. აღნიშნულ საკანონმდებლო აქტს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი უკვე მოაწერა.

მაკკეინი: რუსეთი ისლამურ სახელმწიფოზე საშიშია

რუსეთი მსოფლიოსთვის უფრო დიდი საფრთხეა , ვიდრე ისლამური სახელმწიფო, რადგან რუსეთს უფრო მძლავრი იარაღი აქვს, – განცხადება ამის შესახებ სენატორმა მაკკეინმა The Arizona Republic-თან ინტერვიუში გააკეთა.



„ისეთი ტერორისტული დაჯგუფება, როგორიც ისლამური სახელმწიფოა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს და ისინი აგრძელებენ შეტევას, მაგრამ მათ არ აქვთ სამხედრო საშუალებები, ტექნოლოგიები და ამბიცია, მხარი დაუჭირონ საკუთარ მისწრაფებას, მართონ მსოფლიო. აი, რუსეთს კი აქვს. და რუსეთი არ არის მსოფლიოსთვის მეგობარი, აცხადებს მაკკეინი და მისივე თქმით, რუსეთმა დაამყარა თავის წარმომადგენლობა ახლო აღმოსავლეთში და აგრძელებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ზეწოლას“ – განაცხადა მაკკეინმა.

ფხენიანი საპასუხო ზომების მიღებით იმუქრება

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის გამო ფხენიანი მკაცრი საპასუხო ზომებით იმუქრება და აცხადებს, რომ ბირთვული პოტენციალის გაძლიერებას გააგრძელებს.

სანქციები უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეას 5 აგვისტოს გაუფართოვა. ამერიკული მხარის მიერ მომზადებულ რეზოლუციის პროექტს მხარი რუსეთმა და ჩინეთმაც დაუჭირა.

ერდოღანი გერმანიას ტერორისტების წაქეზებაში სდებს ბრალს

თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ბრალს სდებს გერმანიას ტერორისტების „წაქეზებაში“, რამაც გამოიწვია განხეთქილების გაღრმავება ანკარასა და ბერლინს შორის.

რიზეს პროვინციაში გამართულ კონფერენციაზე ერდოღანმა განაცხადა, რომ მან გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს 4,500 დოსიე გაუგზავნა, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ მიუღია პასუხი.

„როდესაც აქ არის გერმანელი „ტერორისტი“, რატომ გვეუბნებით, რომ თქვენ გადმოგცეთ ეს ადამიანი? თქვენ არც ერთ ჩვენიანს არ გვიგზავნით უკან და რატომ ითხოვთ ჩვენგან რომ გამოგიგზავნოთ? თქვენ შეგიძლიათ სამართალი აღასრულოთ და ჩვენ არ შეგვიძლია ეს თურქეთში?“, – განაცხადა ერდოღანმა.

ურთიერთობები გერმანიასა და თურქეთს შორის გასულ თვეს დაიძაბა, როდესაც მერკელმა შესთავაზა ახალი გეგმა ერდოღანს თუ როგორ უნდა ემართა დემოკრატიული სახელმწიფო. ბერლინმა ასევე

იუარა გერმანელი ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების მონაწილეობა 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალებაში.

ფადი ჰაკურა, თურქი ექსპერტი, საუბრობს გერმანიისა და თურქეთის ურთიერთობაზე და ამბობს რომ, „ერდოღანს ზედმეტი მოსდის, როდესაც საქმე გერმანიას ეხება. სწორად გერმანია არის თურქეთის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი“.

სიცილიაში მოხალისე მეხანძრეები დააკავეს

სიცილიის სამხრეთში პოლიციამ 15 მოხალისე მეხანძრე დააკავა. მათ ბრალი ხანძრის მიზანმიმართულ გაჩენაში დასდეს. ბრალდების მხარე ირწმუნება, რომ ვოლონტიორები ცეცხლს შეგნებულად აჩენდნენ, რათა მათ ჩაქრობაში ფული მიეღოთ. ბრალდებულები მოხალისეთა სახანძრო ბრიგადაში მუშაობდნენ და ტყის ხანძრების ლიკვიდაციაში იღებდნენ მონაწილეობას.

აბრამოვიჩი ცოლს შორდება

ცნობილი რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი ცოლს შორდება. განქორწინების შესახებ მან და მისმა მეუღლემ დარია ჟუკოვამ გუშინ განაცხადეს.

„10-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ არცთუ ადვილი გადაწყვეტილება მივიღეთ, თუმცა მეგობრებად დავრჩებით. ჩვენ ერთმანეთთან ორი არაჩვეულებრივი ბავშვი და ერთობლივი პროექტები გვაკავშირებს,“, – ნათქვამია წყვილის ოფიციალურ განცხადებაში. ქორწინებიდან მათ 7 წლის აარონი და 4 წლის ლეია ჰყავთ.

ირკუტსკში PUSSY RIOT-ის აქტივისტები დააკავეს

იაკუტსკში Pussy Riot-ის საპროტესტო აქცია ჯგუფის აქტივისტების დაკავებით დასრულდა. Pussy Riot-მა არასანქცირებული აქცია უკრაინელი რეჟისორის ოლეგ სენცოვის გათავისუფლების მოთხოვნით იაკუსტკის ცენტრის ახლოს გამართა.

აქტივისტებმა კედელზე ბანერი გამოფინეს წარწერით, „თავისუფლება სენცოვს“. რეჟისორს 2015 წელს 20-წლიანი პატიმრობა ყირიმში ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით მიუსაჯეს. ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ Pussy Riot-ის აქტივისტები ქალაქის სასამართლომ გაათავისუფლა.

უსისხლო ბავშვი!

ბრიტანეთში დაიბადა გოგონა სისხლის გარეშე. **პატარა ოლივია მაშინვე აღიარეს, მედიცინის სასწაულად. იგი დაიბადა ძალიან ფერმკრთალი. გოგონა, რომელსაც ექიმები ორი საათის სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, გადარჩა სისხლის გადასხმით.**

მისი გათეთრებული სხეული, ცოცხალ ორგანიზმად გარდაისახა. ბავშვის მდგომარეობა იმდენად იშვიათი იყო, რომ ის მედიცინის სახელმძღვანელოებზე გამოჩნდება. ეს იყო საოცრება. ექიმების წყალობით და ძალისხმევით, ბავშვის სხეულმა ნელ-ნელა ვარდისფერი იერი მიიღო – ამბობს ოლივიას დედა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3904; ევრო - 2.8204;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1197;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4050;
1000 სომხური დრამი - 4.9930.

ამინდი 9 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20 დღე +40
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +37
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +38
თბილისი: ღამე +22, დღე +39

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge